www.24saati.ge

24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი 22 იანვარი, 2009 წელი. №12 (2050)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

განსასჯელების ოჯახის მიერ დაწესებული ჯილდო

A6



პოზიციების თანხვედრა

A8



ტანჟერი

A10



# ოპოზიციის "რეცეპტები" - სამართლიანი არჩევნებისთვის

## ოპოზიცია ნეიტრალური საარჩევნო არბიტრის ინსტიტუტის შემოღებასა და 75/75-ზე თანაფარდობის გაუქმებას ითხოვს

თამარ ხორბალაძე

*უკვე ერთ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო კოდექსზე ერთობლივი მუშაობისკენ მოუწოდა. თუმცა, ჯერჯერობით "ერთობლივი" მუშაობის პროცესი, პრაქტიკულად, არ დაწყებულა და, შესაბამისად, არც ერთობლივი პროდუქტის მონახაზი არსებობს. ცხადია, რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნის ფონზე, ოპოზიციური პარტიები აქტიურად იწყებენ მუშაობას იმ საარჩევნო ცვლილებებზე, რომელთა განხორციელებაც, მათი აზრით, სამართლიანი არჩევნების ჩატარების აუცილებელი პირობაა.*

"რესპუბლიკელების" და "ახალი მემარჯვენეების" ალიანსი საქართველოს კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების საკუთარი ვარიანტის პრეზენტაციას კვირის ბოლოსთვის გეგმავს. ცვლილებებზე რესპუბლიკელმა ვახტანგ ხმალაძემ და "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ იმუშავეს. ხმალაძე დეტალებზე საუბრისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს, მამუკა კაციტაძე კი რამდენიმე პრინციპულ საკითხს აკონკრეტებს:

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც ალიანსის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები ითვალისწინებს, "ნეიტრალური არბიტრის" ინსტიტუტის ფორმირების ინიციატივაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უშედეგო შეხვედრა მოსკოვში

## საქართველოში ეუთო-ს მისიის ბედი ჯერ არ გარკვეულა

*რუსეთი და ეუთო საქართველოში ამ ორგანიზაციის მისიის საქმიანობის გაგრძელების საკითხზე მსჯელობენ. თუმცა, რაიმე კონკრეტული შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის. ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ მოსკოვში გარკვეული წინადადებები ჩაიტანა, რომელიც კომპრომისის მიღწევის საფუძველი უნდა გახდეს. წინადადებების შინაარსი ჯერჯერობით არ ხმაურდება. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეუთო-ს ყველა წევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოსა და რუსეთის თანხმობაა აუცილებელი.*

საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობის შესახებ **"არანაირი კონკრეტული შეთანხმებები"** მიღწეული არ არის. ამის შესახებ ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დორა ბაკოიანისმა გუშინ, რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობა ოფიციალურად მიმდინარე წლის 1 იანვრიდან შეწყდა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ვეტო დაადო მისიის მანდატის გაგრძელებას. მოსკოვში აცხადებენ, რომ ეუთო-ს მისიამ საქმიანობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სტატუსის გათვალისწინებით უნდა განაგრძოს.

როგორც გუშინ მოსკოვში, ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ განაცხადა, ამ საკითხზე მას გარკვეული წინადადებები აქვს, რომლებიც **"არ შეეხება არც ერთი მხარის "წითელ ხაზებს". თუმცა, საჭიროა ეუთო-ს ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა".** დორა ბაკოიანისმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის წინადადებები შესაძლოა მხარეთა შორის კომპრომისის მიღწევის საფუძველი გახდეს. მისი თქმით, ეუთო ამ საკითხის გადასაწყვეტად ძალისხმევას კვლავაც გააგრძელებს.

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP 2009

*ბაკოიანისი და ლავროვი*

# ენგურჰესის ეპოპეა გრძელდება

გიორგი ასანიშვილი

*მოვლენები ენგურჰესის გარშემო ელვის სისწრაფით ვითარდება. სოხუმში მყოფი რუსული კომპანია "ინტერ რაოს" გენერალური დირექტორის გუშინდელმა განცხადებებმა სიტუაცია კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა და ახალი კითხვის ნიშნები წარმოშვა. ევგენი დოდის თქმით, ენგურჰესის მართვის შესახებ საქართველოსთან გაფორმებულ მემორანდუმს "ინტერ-რაომ", შესაძლოა, გადახედოს და ანალოგიური დოკუმენტი აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთანაც გააფორმოს. დოდის ამ "მოსაზრების" შემდეგ, ოპოზიციამ საქართველოს ხელისუფლებას უფრო მძაფრად შეუტია. თუმცა, რუსული კომპანიის ორმაგი თამაშისა და პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან წამოსული მძაფრი კრიტიკის მიუხედავად, ოფიციალური თბილისი მაინც ღრმად არის დარწმუნებული, რომ რუსულ კომპანიასთან მიღწეული შეთანხმება საქართველოსთვის მომგებიანია და "ინტერ რაო" აფხაზ სეპარატისტებთან ცალკე ხელშეკრულებას არ გააფორმებს.*

### რუსების ორმაგი თამაში: არც მწვადს დავწვავთ და არც შამფურს

სოხუმში ჩასული "ინტერ რაოს" გენერალური დირექტორი სერგეი ბაგაფშთან შეხვედრის შემდეგ სეპარატისტების "ენაზე ალაპარაკდა": ევგენი დოდის თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ყველა ობიექტი, მათ შორის, ენგურჰესი, პირველ რიგში, აფხაზეთის საკუთრებაა და თუ ქართულ მხარესთან გაფორმებული მემორანდუმი სოხუმის ინტერესებს ეწინააღმდეგება, შესაძლოა, კომპანიამ ამ დოკუმენტს გადახედოს. ამასთან, რუსული კომპანიის ხელმძღვანელი აღელვებული სეპარატისტების დამშვიდებას იმითაც ცდილობს, რომ "აღნიშნულ მემორანდუმს არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს და ის მხოლოდ მიდგომებს განსაზღვრავს."

ამასთან, ევგენი დოდი ქართული მხარის გულის მოგებასაც ესწრაფვის.

**"ჩვენ პოლიტიკურ საკითხებს არ ვეხებით, მხოლოდ წმინდა ტექნიკური საკითხები გვაინტერესებს. სოხუმში ვისაუბრეთ ენერგეტიკულ საკითხებზე, კონკრეტულად, აფხაზეთის ტერიტორიიდან ენერგიის ტრანზიტზე. ჩვენ ვმუშაობთ აფხაზეთშიც და საქართველოშიც. მთავარია, მოიძებნოს მოდელი, რომელიც ენერგეტიკას გამოადგება,"** - ოფიციალური თბილისის გაღიზიანებას ერიდება "ინტერ-რაოს" გენერალური დირექტორი.

თუმცა, "არც მწვადის და არც შამფურის დაწვის" პრინციპი ყოველთვის არ ამართლებს. სოხუმში დოდის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა თბილისში მაინც გამოიწვია მწვავე რეაქცია: საპარლამენტო უმცირესობის წევრი

გაგრძელება A4 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატებმა" ქარელის რაიონის სოფელ მოხისში ჩასახლებული დევნილები მოინახულეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის პედაგოგთა ნაწილი განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას სკოლის დირექტორის მფარველობაში ადანაშაულებს. პედაგოგთა თქმით, სკოლის დირექტორმა მარინე უტიაშვილმა სკოლის ბიუჯეტიდან თანხები არაერთხელ მიითვისა, რაზეც სამინისტროს გენინსპექცია და ფინანსური პოლიცია რეაგირებას არ ახდენენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** დღეს მრავალეროვნული სამხედრო სწავლების დაგეგმვის კონფერენცია დაიხურება. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა თელავის მახლობლად მდებარე სოფელ ყარაჯალაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინდუსტრიული სასაკლაოს სამშენებლო სამუშაოები მოინახულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** გუშინ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი სართიჭალის სანერგე მოინახულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** გუშინ შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე ზურაბ ჩინჩილაკაშვილი სოფლის მეურნეობის საკითხებზე უცხოურ ორგანიზაციებს შეხვდა.
**ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ გუნ ცზიანვეის შეხვდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას იწყებს. სამინისტრომ ერთწლიანი კულტურების ჯიშგანახლების პროგრამაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** გერმანიის ელჩი საქართველოში პატრიცია ფლორი გუშინ სამეგრელოში ვიზიტის ფარგლებში წალენჯიხის N6 საბავშვო ბაღს ეწვია, რომელიც გერმანიის საელჩოს მიერ გამოყოფილი სახსრებით გარემონტდა. **პირველი**

## რუსეთმა "ფსოუზე" გადალახვაზე კონტროლი გაამკაცრა

მდინარე ფსოუზე, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე, რუსეთის ფედერაციამ მის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის საზღვრის მონაკვეთზე საზღვრის გადალახვის კონტროლი გაამკაცრა და იქ საზღვრის გადალახვის მაკონტროლებელი ახალი შენაერთი დააყენა. "საზღვრის გადალახვის მაკონტროლებელი ახალი შენაერთი შექმნილია ადლერში (სოჭი, კრასნოდარის მხარე) რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე კონტროლის გამკაცრების მიზნით. შენაერთი საზღვარზე სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის ჩატარებისა და მომზადების პერიოდში იმოქმედებს," - იუწყება რუსეთის "ფე-ეს-ბე"-ს შავი და აზოვის ზღვების სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახური. რუსული მედია აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას აღნიშნავს, რომ "შენაერთი თავისი ფუნქციების შესრულებას საზღვარზე 2009 წლის 1 იანვარს შეუდგა, თუმცა პრესსამსახურმა ამის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ახლა გაავრცელა." გავრცელებულ ინფორმაციაში საზღვრის გადალახვის მაკონტროლებელი ახალი შენაერთის შემადგენლობაში არსებულ მესაზღვრეთა რაოდენობა მითითებული არ არის.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საზღვრის გადალახვის მაკონტროლებელი ახალი შენაერთის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია "მუდმივად მზარდი სატრანსპორტო და სამოქალაქო ნაკადით აფხაზეთთან დამაკავშირებელ საკონტროლო სასაზღვრო პუნქტებზე, ასევე დაკავშირებულია გეგმებთან, რომლებიც ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში საზღვრის გამაგრებას ითვალისწინებს."

სასაზღვრო დაცვის სამმართველოში ასევე დარწმუნებულნი არიან, რომ "რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე" მესაზღვრეთა რაოდენობის გაზრდა საზღვრის კიდევ უფრო კარგად დაცვას შეუწყობს ხელს. **ჯი-ეიჩ-ენი**



გაზეთ "24 საათის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თამარ კინწურაშვილს მამის

**ნუგზარ კინწურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: 22 იანვარს 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, იოსელიანის ქ.№2, მე-4 სართული, ბინა 13.

# დებატები საკონსტიტუციო ცვლილებებზე

*აგვისტოში რუსეთის აგრესიის შემდეგ ხელისუფლება "დემოკრატიის ახალი ტალღის" ინიციატივით გამოვიდა, რასაც მოჰყვა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის მიერ პოლიტიკური ოპოზიციისთვის გაკეთებული შეთავაზება, რომელიც ითვალისწინებს ახალ "საარჩევნო კოდექსზე" ერთობლივ მუშაობას. ხელისუფლების მიერ წარდგენილი "დემოკრატიული ტალღის" კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები. უმრავლესობის განმარტებით, ცვლილებების პროექტის მიზანია პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილებათა ეფექტიანი დაბალანსება და საქართველოს პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდა. ამას არ ეთანხმება არასაპარლამენტო ოპოზიცია. "ახალი მემარჯვენეებისა" და რესპუბლიკური პარტიის ალიანსის წარმომადგენელთა მტკიცებით, დაგეგმილი ცვლილებები, რეალურად, მორიგი დეკორაციული ფარსია.*

დათო გამისონია

ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული პროექტის მიხედვით, კონსტიტუციის 511-ე მუხლში დამატებული მე-2 პუნქტის თანახმად, **"პრეზიდენტს საკუთარი ინიციატივით პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ, უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში."** რაც შეეხება კონსტიტუციის ამჟამად მოქმედ დებულებებს, მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, დაითხოვოს პარლამენტი, თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა. კონსტიტუციასი განსაზღვრულია სხვა შემთხვევებშიც, როდესაც მას უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი ან გადააყენოს მთავრობა.

ამასთანავე ხელისუფლების მიერ შემუშავებულ პროექტში არის დამატებული მე-3 პუნქტი. რომლის თანახმად, **"თუ პრეზიდენტმა უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში ერთხელ უკვე დაითხოვა პარლამენტი, მეორედ პარლამენტის დათხოვნა დაიშვება მხოლოდ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე. რეფერენდუმს პარლამენტის დათხოვნის შესახებ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი."** დაგეგმილი ცვლილების თანახმად, თუკი რეფერენდუმში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა მხარი დაუჭირა პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტი რეფერენდუმის შედეგების შეჯამების დღიდან დათხოვნილად ჩაითვლება და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა საქართველოს პარლამენტის დათხოვნას, რეფერენდუმის შედეგების შეჯამებიდან 45-ე დღეს ტარდება საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები.

გუშინ "რესპუბლიკელებისა" და "მემარჯვენეების" ალიანსის წევრმა ვახტანგ ხმალაძემ საქართველოს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს პრესკონფერენცია მიუძღვნა. მისი თქმით, კონსტიტუციაში პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტი არის საზოგადოების მოტყუების მცდელობა. ცვლილებები, რომლებიც თითქოს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ამცირებს და პარლამენტისას ზრდის, რეალობას არ შეესაბამება. "24 საათთან" საუბარში ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, რომ **"წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, გარდა ამჟამად არსებული შემთხვევებისა, როდესაც პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, მას დამატებით ენიჭება უფლებამოსილება, რაიმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ დაითხოვოს პარლამენტი. განმარტებით ბარათში წერია, რომ ცვლილების მიზანი არის პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობათა შეზღუდვა, ხოლო შედეგი, რომელიც პროექტიდან ჩანს, იქნება ის, რომ დარჩება ყველა არსებული პუნქტი და ამას დაემატება საკუთარი ინიციატივით პარლამენტის დათხოვნის უფლება. ცხადია, ეს გამოიწვევს პარლამენტის დამოუკიდებლობის ხარისხის კიდევ უფრო შემცირებას და პრეზიდენტისთვის პარლამენტზე ზემოქმედებისთვის დამატებითი ბერკეტის მიცემას. ხოლო ის, რომ ამ დამატებითი უფლების გამოყენება თავისი უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში პრეზიდენტს მხოლოდ ერთხელ შეეძლება, დიდი ვერაფერი შეღავათია,"** - განმარტა "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა. გარდა ამისა, ხმალაძე ყურადღებას ამახვილებს რეფერენდუმის დანიშვნის საკითხზე. მისი თქმით, თუკი რეფერენდუმმა მხარი არ დაუჭირა პარლამენტის დათხოვნას, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება ისე, რომ მოქმედი პრეზიდენტი გადამდგარად არ ითვლება.

"მემარჯვენეებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსის წევრი კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებს.

**"მთლიანად თუ გადავხედავთ კანონპროექტს, რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამ კანონპროექტში ყველა დანარჩენი მუხლი იმისთვის არის ჩაწერილი, რომ გაამართლონ ის ერთადერთი ნორმა, რომელიც პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით პარლამენტის დათხოვნის უფლებას ეხება. დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ვადამდელ არჩევნებს ინტენსიურად ითხოვენ, თუ დაპირისპირების გამწვავება მოხდა და ამან დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა მიიღო, პრეზიდენტს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეეძლება პარლამენტის დათხოვნა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. ამით ის შეძლებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნიდან საზოგადოების ყურადღება საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე გადაიტანოს,"** - განმარტავს ვახტანგ ხმალაძემ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ოპოზიციის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს უპასუხა. **"რესპუბლიკელების" მიერ გაკეთებული შეფასებები მხოლოდ მყვირალა განცხადებებია. ასეთ რამეს ელემენტარული იურიდიული განათლების მქონე პირიც კი არ უნდა აკეთებდეს. საკონსტიტუციო პროექტში ნათლად წერია, რომ პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს, რა ჩანაწერიც კონსტიტუციის არსებულ ვარიანტშიც არის. ცვლილებით მხოლოდ რეფენდუმის ჩატარების შესაძლებლობა შემოდის. კერძოდ, თუ პრეზიდენტმა უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში ერთხელ უკვე დაითხოვა პარლამენტი, მეორედ პარლამენტის დათხოვნა დაიშვება მხოლოდ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე. შესაბამისად, მათი ბრალდებები უსაფუძვლოა,"** - განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

# ქუთაისში ნინო ბურჯანაძის პარტიის რეგიონული ოფისი გაიხსნა

გუშინ "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის ქუჩაზე რეგიონული ოფისი გახსნა. მოგვიანებით კი ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" იმერეთის სამხარეო დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა. მოძრაობის გენერალურმა მდივანმა დავით პატარაიმ იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარედ დავით ჭვიტაშვილი და ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ ბაკურ ბალანჩივაძე წარადგინა. ამის შემდეგ კი ნინო ბურჯანაძემ დამსწრე საზოგადოებას 4-ეტაპიანი სამოქმედო გეგმა გააცნო.

ბურჯანაძის განცხადებით, პირველ ეტაპზე საჭიროა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა, მეორე ეტაპზე აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე კრიზისის შეჩერება, მესამე ეტაპზე - აღმშენებლობის გზით სიარული, მეოთხე ეტაპი კი აღმშენებლობის სტაბილიზაციას ითვალისწინებს. "მაგრამ ისმება კითხვა: ეს დღეს უნდა განხორციელდეს თუ 2013 წელს, როცა სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადა ამოიწურება. ვაცხადებთ, რომ ეს გვინდა დღეს და ჩვენ ამას მივაღწევთ," - განაცხადა ბურჯანაძემ.

ქუთაისში გამართულ სამხარეო კონფერენციაზე "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" გენერალურმა მდივანმა დავით პატარაიამ განაცხადა, რომ თებერვლიდან დაიწყება პრეზენტაციები ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით ყველა აქტუალურ საკითხზე.

ბურჯანაძემ აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას გამოსვლაზეც გააკეთა კომენტარი: "მნიშვნელოვანი იყო ობამას გამოსვლა. ის კონტურები, რომლებიც მან მოხაზა, ყველა დემოკრატიული ქვეყნისთვის არის გასათვალისწინებელი. შემშურდა ამერიკის, სადაც დემოკრატიულად ირჩევენ პრეზიდენტს და წინა პრეზიდენტს ღვაწლს უფასებენ," - განაცხადა მან.

ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოს პრეზიდენტი მოვლენებს ადეკვატურად ვერ აფასებს. ამდენად, მისი აზრით, ქართულ საზოგადოებას ერთადერთ გამოსავლად ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დარჩა. ექს-სპიკერს მიაჩნია, რომ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

ბურჯანაძე რუსულ კომპანია "ინტერ რაო ეესსა" და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებულ მემორანდუმსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს ხელისუფლების კიდევ ერთი უმძიმესი გადაწყვეტილება იყო.

ნინო ბურჯანაძე მიმდინარე თვის ბოლოს რეგიონულ ოფისს ბათუმში გახსნის და აჭარის სამხარეო კონფერენციას გამართავს.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ოპოზიციის "რეცეპტები" - სამართლიანი არჩევნებისთვის

პირველი გვერდიდან

საუბარია იმაზე, რომ საარჩევნო დავების განხილვის ფუნქცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჩამოერთვას და დამოუკიდებელ არბიტრაჟს გადაეცეს. არბიტრაჟის ფორმირებაში, ალიანსის პროექტის მიხედვით, პოლიტიკური პარტიები არ უნდა მონაწილეობდნენ. მისი დაკომპლექტების ფუნქცია არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს (მაგალითად "ენ-დი-აი", ეუთო, ევროსაბჭო და ასე შემდეგ) უნდა მიენდოთ, წევრები კი - საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირები უნდა იყვნენ. ტექნიკურად როგორ უნდა მოხდეს ამ არბიტრაჟის ფორმირება და ნდობის ხარისხის განსაზღვრა, ამას ალიანსის წარმომადგენლები, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს გააცხადებენ. მამუკა კაციტაძის თქმით, არბიტრაჟის ზემოთ მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იდგეს და არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების ერთადერთი გზა სწორედ მასზე გადიოდეს.

მამუკა კაციტაძისთვის ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანია დღეს პარლამენტში არსებული თანაფარდობის (75 მაჟორიტარი და 75 პარტიული სიით არჩეული დეპუტატი) შეცვლა. შეგახსენებთ, რომ ამ თემაზე თავის დროზე საკმაოდ აქტიური დებატები იმართებოდა. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ არ გაიზიარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სხვადასხვა მასშტაბის საარჩევნო ოლქებს პარლამენტში არ შეიძლება ერთნაირი წარმომადგენლობა ჰყავდეთ და 75 საარჩევნო ოლქზე 75 მაჟორიტარის არჩევის შესახებ მიიღო კანონი. შეგახსენებთ - ეს ცვლილება საკონსტიტუციო ხასიათისაა.

კაციტაძის აზრით, საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანია ასევე იმ ცვლილებების განხორციელება, რომლებიც არჩევნების პროცესში სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაზე მონიტორინგს გააუმჯობესებს და, რაც მთავარია, ასეთი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობას განსაზღვრავს.


კახა კუკავა


ლევან ვეფხვაძე


მამუკა კაციტაძე

ნეიტრალური საარჩევნო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების იდეის შესახებ საუბრობს "ქრისტიან-დემოკრატი" ლევან ვეფხვაძე. იგი ამბობს, რომ ოპოზიციაში ამ იდეის ირგვლივ მსჯელობა მიდის. მისი ინფორმაციით, ომბუდსმენის დანიშვნის წესი, შესაძლოა, სრული ან მაღალი ხარისხის კონსენსუსი (ყველას მინუს ერთი) იყოს. გარდა ამისა, თავად ქრისტიან-დემოკრატებისთვის მომავალ არჩევნებამდე განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების ნუსხაში პრიორიტეტულ საკითხებს შორისაა ადმინისტრაციების ფორმირების წესის შეცვლა. ვეფხვაძე აცხადებს, რომ დღევანდელი წესი, რომელიც ნახევრად პროფესიულ, ნახევრად კი პარტიულ დაკომპლექტებას გულისხმობს, ცალსახად არღვევს ობიექტურობის ბალანსს ხელისუფლების სასარგებლოდ.

"ქრისტიან-დემოკრატებს" მიაჩნიათ, რომ აუცილებელია სათვალთვალო კამერის დაყენება აბსოლუტურად ყველა უბანზე და ამასთან არ უნდა იყოს შეზღუდული ჩანაწერების ამოღების უფლება (მოქმედი კოდექსის მიხედვით, შეგიძლია ამოიღო კონკრეტული საეჭვო ნახევარი საათის ჩანაწერი და არა მთელი დღის).

ლევან ვეფხვაძე ასევე აუცილებლად მიიჩნევს არჩევნების პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის ქმედითი მექანიზმების შემუშავებას. მისი ინფორმაციით, არასამთავრობოებს აქვთ ინიციატივა წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო სოციალური პროგრამების განხორციელების შეზღუდვის შესახებ. მაგალითად საუბარია იმაზე, რომ არჩევნების წელს ყოველთვიურად დაიხარჯოს პროგრამისთვის განკუთვნილი თანხის მხოლოდ ერთი მეთორმეტედ. მათი აზრით, ამან არჩევნების წინ დასაქმების პროგრამის მსგავსი სამთვიანი პროგრამების განხორციელება უნდა შეაფერხოს.

საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესისა და 75/75-ზე შეფარდების შეცვლა წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს "კონსერვატორ" კახა კუკავასთვისაც, თუმცა მას მიაჩნია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ამ თემაზე ნებისმიერი კონსენსუსის მიღწევა გამორიცხულია და ამიტომ საარჩევნო საკითხების თაობაზე ხელისუფლებასთან კონსულტაციებს აზრი არა აქვს.

ექს-პრემიერ ნოღაიდელის მოძრაობას "სამართლიანი საქართველოსთვის", რომელიც ყოველკვირეულად აკეთებს პროგრამული მიმართულებების პრეზენტაციას, საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების საკუთარი ვარიანტი ჯერჯერობით არ შეუმუშავებია. მოძრაობის დამფუძნებელი პეტრე მამრაძე "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ იგი სრულად იზიარებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ ქართული საარჩევნო სისტემის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს.

როგორც ცნობილია, 2008 წლის 28 ოქტომბერს ვენეციის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ 31-გვერდიან დოკუმენტში საუბარია ქართული საარჩევნო სისტემის ხარვეზებზე და მოცემულია მთელი რიგი რეკომენდაციები საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით. თუმცა, ამავე რეკომენდაციებში საუბარია იმაზეც, რომ, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შემდეგ, საჭიროა გარკვეული ვადა, რათა საარჩევნო ადმინისტრაციებმა ამ ცვლილებების ათვისება მოასწრონ და არჩევნების დროს არაკომპეტენტურობის მოტივით ჩადენილი დარღვევების რიცხვმა იკლოს. ოპოზიციაში ვარაუდობენ, რომ ამ რეკომენდაციის გამო ცვლილებების განხორციელების ვადაში გაჭიანურებაც ხელისუფლების ინტერესებში შედის. რამდენად რეალურია ოპოზიციის ეჭვები და გაიზიარებს თუ არა ხელისუფლება ოპოზიციის შეთავაზებებს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, ამას უახლოესი პერიოდი აჩვენებს, როცა დავით ბაქრაძის შეთავაზების შესაბამისად, ხელისუფლება, ოპოზიციასთან ერთად, საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობას რეალურად დაიწყებს.

# უშედეგო შეხვედრა მოსკოვში

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის წინადადებები **"შეიძლება მოლაპარაკებების და ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების მოძიების საფუძველი გახდეს."** მან ასევე აღნიშნა, რომ **"ბერძნული მხარის წინადადებებს რეალისტური მიმართულება აქვს და მათში გათვალისწინებულია დე ფაქტო და დე იურე შექმნილი მდგომარეობა,"** ამიტომ რუსეთი **"მზადაა, ამ მიმართულებით იმუშაოს."**

გარდა ამისა, რუსული საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კმაყოფილება გამოთქვა ეუთოში საბერძნეთის თავმჯდომარეობის "პირველივე დღეებში" ამ ქვეყნის მიერ სამხრეთ ოსეთისათვის გაზის მიწოდების პრობლემის მოსაგვარებლად გადადგმული ნაბიჯების გამო.

იმავდროულად, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ მოსკოვი კონფლიქტურ ზონებში ეუთო-ს საქმიანობას ხელს უშლის. წინა დღეს ცხინვალის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ მურად ჯიოევთან შეხვედრისას, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ **"რუსეთი მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთის სურვილს, ითანამშრომლოს ეუთო-სთან. ჩვენმა ოსმა მეგობრებმა დაადასტურეს თავიანთი დაინტერესება ეუთო-სთან თანამშრომლობით, იმით, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეუთო-ს მისია მუშაობდეს. ჩვენ ამას აბსოლუტურად არ ვეწინააღმდეგებით, ეუთო-ს მუშაობა ახალი რეალიების გათვალისწინებით უნდა გაგრძელდეს,"** - აღნიშნა ლავროვმა.

გარდა ამისა, სამშაბათს, ევროკავშირის ადამიანის უფლებათა კომისარ თომას ჰამარბერგთან შეხვედრისას, ლავროვმა უკმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობით **"საქართველოს მიერ სამხედრო ძალების გაძლიერების ფონზე."** ამავე დროს, მან მხარი დაუჭირა ჰამარბერგის მოსაზრებებს ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებისა და ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე.

თბილისში ეუთო-ს მანდატის გაგრძელებას აუცილებლად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ეს მანდატი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს. **"ჩვენს ინტერესებშია, საქართველოს ტერიტორიაზე რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი იყოს და რუსეთის ქმედებების ზუსტი მონიტორინგი მოხდეს. ერთი რამ ცალსახაა - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ურყევი იქნება როგორც ჩვენი, ასევე ჩვენი პარტნიორების მხრიდან,"** - განაცხადა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა.

## "ჰუმან რაითს უოთჩი" ქართულ-რუსულ კონფლიქტის შესახებ ახალი ანგარიშის პრეზენტაციას გამართავს

23 იანვარს "თბილისი მარიოტში" "ჰუმან რაითს უოთჩის" ასოცირებული დირექტორი ქეროლ ბოგერტი 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონის გამო ქართულ-რუსული კონფლიქტის შესახებ ახალი ანგარიშის პრეზენტაციას გამართავს. "ჰუმან რაითს უოთჩის" ანგარიში ყველა მხარის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტებს ასახავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "დიდი ათეულის" გამო არსებული დაპირისპირება კანონის ფარგლებში უნდა გადაიჭრას"

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მიიჩნევს, რომ "პირველი არხის" გადაცემა "დიდი ათეულის" შესახებ მიმდინარე დისკუსიამ შესაძლოა, საზოგადოებისათვის არასასურველი განვითარება ჰპოვოს და ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სწორედ არხის ხელმძღვანელ პირებს ეკისრებათ.

საია-ს განცხადებით, "მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-16 მუხლის თანახმად, "პირველი არხი" ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება." "ახალგაზრდა იურისტები" მიიჩნევენ, რომ დაპირისპირება კანონის ფარგლებში უნდა გადაწყდეს და მისი გადაჭრისას არ მოხდეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულების - კანონის უზენაესობის უგულებელყოფა.

ყველაზე სავალალო შედეგად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სწორედ კონკრეტული გადაწყვეტილების კანონის გვერდის ავლით მიღებას მიიჩნევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ედპ გარევაჭრობის მოწესრიგების საკუთარ გეგმას გაახმიანებს

გუშინ "ეროვნულ დემოკრატიული პარტიის" პრეზიდიუმის წევრმა, პარლამენტარმა გურამ ჩახვაძემ პარტიის ცენტრალურ ოფისში ქალაქის მერისადმი მიმართვა წარმოადგინა, რომელიც გარე ვაჭრობის მოწესრიგებისა და გარე ვაჭრობაში დასაქმებული მოქალაქეების უფლებების დაცვას შეეხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლეიბორისტები" აშშ-ს კონგრესს სანქციების დაწესებას სთხოვენ

"ლეიბორისტული პარტიის" ლიდერ შალვა ნათელაშვილის განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტობის სწორი და თავისუფალი არჩევნები ჩატარდა. ნათელაშვილმა დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოსაც უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ქართველ ხალხს საშუალებას მისცემს, თავისუფლად, ყოველგვარი გარედან მართული ძალების გარეშე აირჩიოს საკუთარი ხელისუფლება და პრეზიდენტი. ნათელაშვილისვე განცხადებით, "ლეიბორისტულმა პარტიამ" ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატაში უკვე გადააგზავნა მიმართვა, რათა შეიქმნას საგამოძიებო კომისია იმ ამერიკელი თანამდებობის პირების წინააღმდეგ, რომლებიც მფარველობდნენ და აძლიერებდნენ სააკაშვილის ხელისუფლებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პარლამენტში საქართველოში რეგიონული განვითარებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა

პარლამენტში საქართველოში რეგიონული განვითარებისა და დეცენტრალიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა.

"ნამდვილი ევროპული ინტეგრაცია გულისხმობს არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობას პარტნიორ ქვეყნებთან, არამედ რეგიონული ხელისუფლების თანამშრომლობას ევროპულ სტრუქტურებთან," - განაცხადა პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარემ ვანო ხუხუნაიშვილმა საქართველოს პარლამენტში, ორგანიზაცია "ქესასა" და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს ერთობლივ კონფერენციაზე - "განვითარების დაგეგმვა და დეცენტრალიზაცია". კონფერენციაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო თემები: რეგიონული განვითარების პოლიტიკა საქართველოში - სამომავლო გეგმები; სამცხე-ჯავახეთის განვითარების გეგმის მოდელი და მიღწეული პროგრესი; დეცენტრალიზაცია საქართველოში: გეგმები და საქმიანობები; ადგილობრივ დონეზე არსებული რესურსი; დეცენტრალიზაციის გავლენა სოფლებზე.

ორგანიზაცია "ქეა", დიდი ბრიტანეთის საერთშორისო განვითარების დეპარტამენტის დაფინანსებით, 2005 წლიდან მუშაობს სამცხე-ჯავახეთში რეგიონული დაგეგმვის მოდელების დანერგვაზე და სოფლად საარსებო საშუალებების განვითარებაზე. როგორც კონფერენციაზე ითქვა, ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროცესია. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და ეს პროცესი გაგრძელდება. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში დავით ტყეშელაშვილი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დენის კიფი, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარლამენტარები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გრიგოლ ვაშაძე სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ პიტერ სემნების შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ევროკავშირის მიმდინარე და შესაძლო მომავალი როლი საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის, ასევე რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესიის შედეგად შექმნილი რთული მდგომარეობის დაძლევის მიმართულებით. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობაზე და პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს. მათ შორის საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შემოღების პერსპექტივის, "აღმოსავლეთ პარტნიორობასა" და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობის საკითხები. შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია, საქართველოში ჩეხეთის, როგორც ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის ელჩი ივან იეჟშტრაბი, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი; ასევე პიტერ სემნების პოლიტიკური მრჩევლები და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბაგაფში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

გუშინ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაგაფში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ იოჰან ვერბეკეს შეხვდა. აფხაზური მხარის ინფორმაციით, სერგეი ბაგაფშსა და იოჰან ვერბეკეს შორის გამართული შეხვედრა სეპარატისტულ აფხაზეთში გაერო-ს მისიის ფუნქციონირებასა და გაერო-ს უშიშროების საბჭოში მისიის სტატუსის შეცვლის საკითხებს შეეხო. შეხვედრაზე აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა აღნიშნა, რომ იგი მიესალმება აფხაზეთში გაერო-ს მისიის ფუნქციონირებას, მაგრამ აუცილებელია მისი სტატუსის განსაზღვრა. აფხაზური მხარე ასევე იუწყება, რომ შეხვედრისას სერგეი ბაგაფში და იოჰან ვერბეკე მისიის მანდატის შესახებ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაზე შეთანხმდნენ და ითქვა, რომ "სულაც არ არის საჭირო მისიის მანდატის ტექნიკური გაგრძელება". **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს სისხლის ბანკები ქვეყანაში არსებულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ

საქართველოს სისხლის ბანკები ქვეყანაში არსებულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, - განაცხადა ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის სისხლის სამსახურის მენეჯერმა დავით ლოლიაშვილმა. მისი თქმით, საქართველოს სისხლის დამამზადებელი დაწესებულებების ქსელში ამჟამად სისხლის შესაბამისი მარაგი არსებობს. თუმცა, ქვეყნის ტრანსფუზიოლოგიური დარგის მთავარ პრობლემას მაინც სისხლის დონორების დეფიციტი წარმოადგენს. როგორც დავით ლოლიაშვილმა აღნიშნა, არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული რეზუსის სისხლის მხრივ დეფიციტური სიტუაცია იქმნება (ძირითადად, ეს უარყოფითი რეზუსის სისხლს შეეხება), რაც მოსახლეობის თვითგანათლების დაბალი დონით აიხსნება. კერძოდ, მოსახლეობა ამ მხრივ ინიციატივას არ იჩენს და სისხლს, როგორც წესი, განსაკუთრებულ შემთხვევებში აბარებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პარლამენტი "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კოდექსის პროექტზე მუშაობს

პარლამენტი "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კოდექსის პროექტზე მუშაობს, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა. მისი თქმით, კომიტეტმა პროექტი უკვე მოამზადა. "ჩვენი აზრით, საჯარო სამსახურში მუშაობის საკითხი მთლიანად ახლებურად უნდა დარეგულირდეს - ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების და ევროსტანდარტების გათვალისწინებით," - აცხადებს პავლე კუბლაშვილი. თუმცა, დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს.

მისი თქმით, ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაზეც იურიდიულ კომიტეტი მუშაობს და ამ საკითხზე მსჯელობის და განხილვის პროცედურის დაწყება საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე გახდება შესაძლებელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ენგურჰესის ეპოპეა გრძელდება

პირველი გვერდიდან

პაატა დავითაია აფხაზურ-რუსულ შეთქმულებაზე ალაპარაკდა და გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ამ შეთქმულების სქემაც წარუდგინა.



### ოპოზიციის პროტესტი და გაფრთხილება

ქართველი პარლამენტარის მტკიცებით, აფხაზი სეპარატისტებისა და რუსული "ინტერ რაოს" შეთქმულების პირველი ნაწილი ენგურჰესის სოხუმში რეგისტრაციას ითვალისწინებს. ამას უნდა მოჰყვეს სეპარატისტებთან ხელშეკრულების დადება, რომლის თანახმადაც, ელექტროენერგიის გარკვეულ წილს აფხაზები უფასოდ მიიღებენ და მოხდება ენგურჰესის სისტემაში მათი წილობრივი მონაწილეობის გაფორმება. დავითაიას თქმით, საუბარია წლიურად ერთი მილიარდი კილოვატი ელექტროენერგიის მიღებაზე, რომელსაც აფხაზეთი მთლიანად ვერ მოიხმარს, მის ნაწილს რუსეთში გაყიდის და მიღებული თანხა სეპარატისტებს დარჩებათ.

**"ამ გეგმის ხორცშესასხმელად საჭიროა საზერიოში მყოფი ქართველი ენერგეტიკოსების შევიწროვება. აფხაზებმა კი უკვე განაცხადეს, რომ თუ ენგურჰესის შესახებ ხელშეკრულება მათი ინტერესების გათვალისწინებით არ გაფორმდება, ისინი ქართველ ენერგეტიკოსებს შეავიწროვებენ,"** - აღნიშნავს პაატა დავითაია.

მისივე განცხადებით, რუსებსა და აფხაზ სეპარატისტებს შესაბამისი ღონისძიებების გატარების სამზადისი დაწყებული აქვთ და პერიმეტრის გასაკონტროლებლად საზერიოში უკვე განლაგებულია რუსული ტანკები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ოპოზიციონერი დეპუტატი ხელისუფლებას ურჩევს, უარი თქვას "ინტერ რაოსთან" ხელშეკრულების დადებაზე, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ამ კომპანიის ხელმძღვანელი თბილისთან გაფორმებულ მემორანდუმს "ფარატინა ქაღალდს" უწოდებს.

**"ეს იქნება ქვეყნის უსაფრთხოების ღალატი და ამდენად, საკითხის გადაწყვეტაში მესამე მხარის ჩართვა აუცილებელია,"** - მიიჩნევს დავითაია. "მესამე მხარედ" ის ევროკავშირის წარმომადგენლებს ან რომელიმე უცხოურ (დასავლურ) კომპანიას ასახელებს. პარლამენტარის აზრით, მოვლენების ასეთი განვითარება, ენგურჰესის გარშემო დავის წარმოშობის შემთხვევაში, ქართულ მხარეს საერთაშორისო სასამართლოებში სარჩელის შეტანის შესაძლებლობას მისცემს.

დავითაიას მსგავსად, საქართველოს ხელისუფლების ენერგოპოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებს პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარი წინდაუხედაობით რუსულ ავანტიურაში ჩაება. დეპუტატის თქმით, რუსული "ინტერ რაოს" მიზანს ენგურჰესის აქციათა 51 პროცენტის ხელში ჩაგდება წარმოადგენს და **"ეს თამაშიც სწორედ ამ მიზნით არის დაწყებული."**

ენგურჰესთან დაკავშირებული მოვლენების განვითარების პროცესს ლევან ვეფხვაძე ასე წარმოაჩენს: თავდაპირველად რუსები აფხაზ სეპარატისტებს ენგურჰესის 51 პროცენტს სთხოვდნენ იმ პირობით, რომ ისინი ჰესს ოფიციალურად მათ საკუთრებად აღიარებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტების პოლიტიკა მთლიანად რუსეთზეა მიბმული, სოხუმმა ამ წინადადებაზე მაინც უარი თქვა და რუსულ კომპანიას აქციათა მხოლოდ 49 პროცენტის გადაცემა შესთავაზა. სწორედ ამის შემდეგ გააფორმეს რუსებმა ქართულ მხარესთან მემორანდუმი, რითიც აფხაზებს მიანიშნეს, რომ, თუ ისინი 51-პროცენტიანი წილის გადაცემაზე არ დათანხმდებიან, მაშინ იტყვიან, რომ ენგურჰესი ქართველებისაა და ურთიერთობაც თბილისთან ექნებათ.

მწვავე განცხადებას აკეთებს "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძეც. პარლამენტის ექს-სპიკერი რუსულ "ინტერ რაოსა" და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ გაკეთებულ კომენტარში აღნიშნავს, რომ **"ეს ხელისუფლების კიდევ ერთი უმძიმესი გადაწყვეტილება იყო."**

**"დღეს ენგურჰესის გაყიდვა სინდისის გაყიდვასაც ნიშნავს,"** - ასეთ პარალელს ავლებს ბურჯანაძე.

### ხელისუფლების პოზიცია უცვლელია

საქართველოს ხელისუფლება ღრმად არის დარწმუნებული, რომ რუსულ კომპანიასთან საქმის დაჭერა საქართველოსთვის მომგებიანია. პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს მტკიცედ სჯერა, რომ "ინტერ რაო" სეპარატისტებთან ცალკე ხელშეკრულებას არ გააფორმებს, ვინაიდან "ორ სუბიექტთან ერთსა და იმავე ობიექტზე ხელშეკრულება არ იდება."

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას მაჭავარიანი ყურადღებას საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და "ინტერ რაოს" შორის გაფორმებულ მემორანდუმის იმ ნაწილზე ამახვილებს, რომლითაც ენგურჰესი ცალსახად არის აღიარებული საქართველოს საკუთრებად.

**"ერთი რამ ცალსახაა: ჩვენ მიერ გაფორმებული მემორანდუმი არის გარანტია იმისა, რომ საქართველოს ენერგოუსაფრთხოება უფრო მეტად იქნება დაცული. ეს არის გარანტია იმისა, რომ ენგურჰესში მომუშავე ათასობით ქართველი არ დაკარგავს სამუშაოს და რაც ყველაზე მთავარია, მემორანდუმში ცალსახად წერია, რომ ენგურჰესი იყო, არის და მომავალშიც იქნება საქართველოს საკუთრება 100-პროცენტიანი წილით,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

Regional Capacity Building Initiative
Supporting partner country participation in ENPI CBC Programmes 2007 - 2013

website: www.rcbi.info
email: info@rcbi.info

განცხადება

ა.წ. 29 იანვარს ქ. თბილისში იგეგმება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება. პროგრამა მიზნად ისახავს მონაწილეთა ინფორმირებას ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (CBC) მიზნების, პრიორიტეტების და აგრეთვე პროექტების წარდგენის წესისა და პროცედურების შესახებ.

შეხვედრაზე დასწრება შეუძლიათ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების, მუნიციპალიტეტების და სამხარეო ადმინისტრაციების თანამშრომლებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროექტების მომავალ კონკურსებში.

საინფორმაციო შეხვედრაზე დასწრების მსურველმა ორგანიზაციებმა 27 იანვრამდე უნდა მიმართონ შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტს. ამისთვის მათ უნდა გაგზავნონ მოკლე დასაბუთების წერილი და ორგანიზაციის გამოცდილების აღწერა (არა უმეტეს 1/2 გვერდისა) შემდეგ მისამართებზე, ელ-ფოსტა: l; CC: d, ან ფაქსი: 250711; 399019; 998914. მიმართვის წერილში აუცილებელია მიეთითოს გამომგზავნი ორგანიზაციის საკონტაქტო ტელეფონი და ელ-ფოსტის მისამართი.

შეხვედრაზე დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია 70 მონაწილემდე. იმ შემთხვევაში, თუ დარეგისტრირებული ორგანიზაციების რიცხვი მეტი აღმოჩნდა, მოხდება მათი გადარჩევა. უპირატესობა მიენიჭება იმ ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ რეგიონულ პროექტებში მონაწილეობისა და შავი ზღვის პრობლემატიკაზე მუშაობის გამოცდილება.

ორგანიზაციებს, რომლებიც შეხვედრაზე ვერ მოხვდებიან, შეხვედრის შემდეგ გადაეგზავნებათ შეხვედრის მასალების სრული პაკეტი. გარდა ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში თებერვალში ჩატარდება კიდევ ერთი მსგავსი შეხვედრა (დეტალური ინფორმაცია გავრცელდება მოგვიანებით).

დამატებითი ინფორმაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვრისმიღმა თანამშრომლობის პროგრამის შესახებ შეგიძლიათ იხილეთ ინტერნეტ-გვერდებზე: www.blacksea-cbc.net; h; h.

# სიახლე, რომელიც მართლმსაჯულების სტანდარტს აწევს

*ნაფიც მსაჯულებს, პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, უფლება ექნებათ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე განსაზღვრონ. ნაფიც მსაჯულთათვის ამ ფუნქციის მინიჭება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტში, რომელზე მუშაობაც პარლამენტში მიმდინარეობს.*

*პროექტი, რომელიც, სხვა ცვლილებებთან ერთად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას ითვალისწინებს, პირველი მოსმენით 2007 წელს მიიღეს. მეორე და მესამე მოსმენით მიღება საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება. როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, "ახლა პროექტზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ყველა საკითხი."*

*არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარე მანანა კობახიძე მიიჩნევს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედება ქართული მართლმსაჯულებისთვის დადებითი ფაქტორი იქნება. "მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი სამართლიანი იქნება და უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრების ალბათობა შემცირდება," - აცხადებს მანანა კობახიძე, რომლის მოსაზრებებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით ქვემოთ შემოგთავაზებთ.*

**- როგორ შეაფასებდით ამ სიახლეს? რას ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქართული მართლმსაჯულებისთვის?**

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება საქართველოს მართლმსაჯულებისთვის, რა თქმა უნდა, დადებითი ფაქტორია. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობის საქმეებს განიხილავს და დარწმუნებული ვარ, რომ, თუ არ იარსებებს მტკიცებულებები, მათი გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, უდანაშაულო ადამიანი მკაცრად არ დაისჯება.

ისეთ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარეს სუსტი პოზიცია გააჩნია, ვერ ახერხებს ბრალდების გამყარებას და ამ დროს ნაფიც მსაჯულთა წინაშე მყარი პოზიციების მქონე დაცვის მხარე წარდგება, მსაჯულები სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ერთპიროვნულად გადაწყვეტილებას ვეღარ მიიღებს, ის დამოკიდებული იქნება საზოგადოების წარმომადგენელთა - ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ვერდიქტზე, რომლითაც პირი გამოცხადდება დამნაშავედ ან უდანაშაულოდ.

ამ ინსტიტუტის ამოქმედებით, სასამართლო პროკურატურის ზეგავლენისგან გათავისუფლდება ისეთი საქმეების განხილვისას მაინც, როგორიცაა განზრახ მკვლელობა. 12 ნაფიც მსაჯულზე ზეგავლენის მოხდენა პროკურატურას ნამდვილად გაუჭირდება.

დადებითი და უარყოფითი მხარეები ყველაფერს აქვს და, რა თქმა უნდა, ამ ინსტიტუტსაც. მისი ეფექტურობის თაობაზე დავა დღესაც გრძელდება იმ ქვეყნებში, სადაც იგი ძალზე დიდი ხანია მოქმედებს, მაგალითად, იყო შემთხვევები, როცა დამნაშავე უდანაშაულოდ ცნეს და ა.შ. მაგრამ არსებულს ნამდვილად ჯობია, ის უნდა ამოქმედდეს, საზოგადოება უნდა ჩაერთოს მართლმსაჯულების პროცესში და გარკვეული პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს.

**- ამ ინსტიტუტს კრიტიკოსებიც ჰყავს, რომელთა აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში ვერ გაამართლებს, მოექცევა პოლიტიკური წნეხის ქვეშ, როგორც ეს რუსეთში მოხდა. კაპიტან ულმანის საქმე და ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმე, რომლის განხილვაც ამჟამად მიმდინარეობს, ამ მოსაზრებას ადასტურებს. შეიძლება იგივე მოხდეს საქართველოშიც?**

- არა მგონია, საქართველოში ასე მოხდეს. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულებისადმი დაბალია. საზოგადოება იმდენად განიცდის არსებულ სიტუაციას და სურს, რომ სამართლიანი განაჩენები გამოვიდეს, რომ არა მგონია, ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ამ საზოგადოების წარმომადგენლები არიან, რაიმე ზეწოლის ქვეშ მოექცნენ.

თუ ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და თუ პროკურატურა მტკიცებულებებს ვერ შეაგროვებს, დაპატიმრებული უნდა გაათავისუფლონ. მტკიცებულებების გარეშე ადამიანის დაპატიმრება-გასამართლება დაუშვებელია. ვფიქრობ, რომ უდანაშაულო ადამიანების ციხეში ჩასმის ალბათობას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეამცირებს - დარწმუნებული ვარ, თუ არ იქნება მტკიცებულებები, ადამიანს დამნაშავედ არ ცნობს. ამ ინსტიტუტის ხიბლი ისაა, რომ პროკურატურას გამოძიების კვალიფიციურად ჩატარება, საქმიანობის ხარისხის აწევა მოუწევს. თუ დადებს მტკიცების მაღალ სტანდარტს, დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, ვერ მოახერხებს ამას და განსასჯელს გაამართლებენ.

**- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მართლმსაჯულების მონაწილე მხარეების - ბრალდების და დაცვის პროფესიონლიზმის დახვეწასაც გამოიწვევს, რაც ზოგადად, მართლმსაჯულების ხარისხს გაზრდის.**

- ასე მოხდება აუცილებლად. კვალიფიციურ ბრალდებას დაუპირისპირდება, ასევე, კვალიფიციური ადვოკატი. თუ რომელიმეს არ ექნება შესაფერისი პროფესიონალიზმი, ნაფიც მსაჯულთა დარწმუნებას ვერ შეძლებს და, რა თქმა უნდა, პროცესს წააგებს. შეჯიბრებითობის მომენტი ძალზე მნიშვნელოვანია და ეს მართლმსაჯულების სტანდარტს აწევს.

**- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავდაპირველად მხოლოდ თბილისში ამოქმედდება, რაც საქართველოს სხვა რეგიონში მცხოვრებთა უფლებებს ზღუდავს. რუსეთში საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ, ეს ინსტიტუტი მოსკოვის გარდა, სხვა ოლქებშიც ამოქმედდა. ცნობილია, რომ თქვენ აპირებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოთ.**

- ის, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ თბილისში ამოქმედდება, ძალიან სერიოზული სამართლებრივი ხარვეზია. არ შეიძლება ექსპერიმენტული მართლმსაჯულება. რეფორმის მხოლოდ დედაქალაქში განხორციელება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა რეგიონის მოქალაქეებს. თუ პირი დანაშაულს ჩაიდენს წყალტუბოში, მას არ ექნება საშუალება, მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს, რაც ადგილის მიხედვით დისკრიმინაციას ნიშნავს და კონსტიტუციის დარღვევაა. ეს არა ერთ შეხვედრაზე განვაცხადე და პირველივე შანსს გამოვიყენებ იმისთვის, რომ ეს ხარვეზი საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრო. როგორც კი მოგვმართავს პირველივე განსასჯელი, რომლის საქმესაც არ განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართავთ და ამ შემთხვევაში დაზარალებულის უფლებებს დავიცავთ.



*მანანა კობახიძე*

# დეპუტატის საკანონმდებლო ინიციატივა

*პოლიტიკური გაერთიანება "ქართული დასის" ლიდერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია "სისხლის სამართლის კოდექსში," "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" და "პატიმრების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას ითხოვს. ამ მოთხოვნის საკანონმდებლო ორგანოში დაყენებას ის საგაზაფხულო სესიის პირველსავე სხდომაზე გეგმავს. გუშინ კი დეპუტატმა პირველი საჯარო მოსმენა გამართა და საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს გააცნო. აღსანიშნავია, რომ იგივე ცვლილებებს საპარლამენტო უმრავლესობაც ითხოვს. კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ ცოტა ხნის წინ, პარლამენტში ანტიკრიზისული საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს.*

**"ჩვენი მიზანია, ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანიზაცია. საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები ექსპერტებთან თანამშრომლობით მომზადდა,"** - განაცხადა დეპუტატმა.

მომზადებული ცვლილებების მიხედვით, ჯონდი ბაღათურია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან 371-ე პრიმა მუხლის ამოღებას ითხოვს. ამ მუხლის თანახმად, სასჯელი მოწმის ან დაზარალებულის მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისას წესდება.

ბაღათურია ცვლილებების შეტანას ითხოვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლში, რომელიც სასჯელთა შეკრებითობის პრინციპს განსაზღვრავს. დეპუტატს მიაჩნია, რომ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის დროს, სასჯელი არა შეკრებითობის, არამედ ნაწილობრივი შთანთქმის პრინციპით უნდა დაინიშნოს, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

**"თუკი ჩვენს მიერ მომზადებულ ცვლილებას საკანონმდებლო ორგანო გაითვალისწინებს, მოსამართლეს შეეძლება სასჯელის ზომა უფრო მძიმე დანაშაულის მიხედვით განსაზღვროს,"** - განმარტავს "ქართული დასის" ლიდერი, რომლის ახალი საკანონმდებლო ინიციატივა ასევე ითვალისწინებს საპატიმროებში პაემნების რიცხვის გაზრდას. "ქართული დასის" მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, ახლობლებს პატიმრის მონახულება კვირაში ოთხჯერ, სამ-სამი საათით შეეძლებათ. პატიმართა მეუღლეებისთვის კი ე.წ. პირადი პაემნები აღდგება და ის თვეში ერთხელ სამ დღე-ღამეს გაგრძელდება.

*საკუთარი ინფორმაცია*

## სააღსრულებო ბიურომ ავტომანქანა იძულების წესით აუქციონზე გაყიდა

თბილისის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებელმა დავით ციციშვილმა ნატალია გაიაშვილის სახელზე რიცხული ავტომანქანა, იძულების წესით, აუქციონზე გაიტანა. შავი ფერის ავტომანქანა "ჰონდა", რომელიც იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 14 000 ლარად იყო შეფასებული, აუქციონის წესით, 5 000 აშშ დოლარად გაიყიდა.

"ნატალია გაიაშვილის სახელზე გაფორმებული ავტომანქანა, ახალგაზრდა მამაკაცმა შეიძინა. ავტომანქანა, გირაოს სახით, "ვითიბი ბანკში" იყო ჩადებული," - აცხადებს აღმასრულებელი დავით ციციშვილი. აუქციონი "სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" კანონის 69-71-ე მუხლის თანახმად გაიმართა. **მედიანიუსი.**

## "კონსტიტუციის 42-ე მუხლმა" ევროსასამართლოში კიდევ 2 საქმე მოიგო

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ რამდენიმე დღის წინ საქართველოს წინააღმდეგ ორი გადაწყვეტილება გამოიტანა. ორთავე საქმეზე ევროსასამართლოში წარმომადგენლობას ახორციელებდა ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი".

22 იანვარს, 2 საათზე ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ოფისში გაიმართება ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" პრესკონფერენცია ამ თემაზე.

ორგანიზაციის ადვოკატები ისაუბრებენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების დეტალებზე, ევროკონვენციის რომელი მუხლების დარღვევა დაადგინა ევროსასამართლომ და რა ოდენობის ფულადი სანქციები დააკისრა საქართველოს სახელმწიფოს. **საკუთარი ინფორმაცია**

## ავტოსაგზაო შემთხვევას შიდა ქართლის უშიშროების უფროსი ემსხვერპლა

ავტოსაგზაო შემთხვევას შიდა ქართლის უშიშროების უფროსის გია ჩიტაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

როგორც გორის ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა ნუკრი ჯოხაძემ განაცხადა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ქარელის მონაკვეთზე მომხდარი ავარიის შედეგად გია ჩიტაშვილი გარდაიცვალა, ხოლო მასთან ერთად ავტომანქანა "ჯიპში" მყოფი მისი მოადგილე ვახტანგ მძინარაშვილი გადარჩა. ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მკურნალობის შესაბამისი კურსი უტარდება. **პირველი**

## ზაქარია ქუცნაშვილი მამის დაპატიმრების მიზეზები

იურისტი ზაქარია ქუცნაშვილი მამის დაპატიმრების მიზეზად პოლიტიკას და ფულს ასახელებს. ზაქარია ქუცნაშვილი მამის დაპატიმრების მიზეზებზე საუბარს დღევანდელ პრესკონფერენციაზე აპირებს. "საზოგადოებამ ნამდვილი მიზეზი უნდა იცოდეს, 7 თვეა შეთითხნილი ბრალდებით 66 წლის ადამიანი ციხეში ზის და ვერაფერს უმტკიცებენ. პრესკონფერენციაზე დაპატიმრების რამდენიმე მიზეზს დავასახელებ. თუმცა, მამაჩემის დაკავება პირდაპირ დაკავშირებულია პოლიტიკასთან და დიდ ფულთან," - აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

66 წლის ომარ ქუცნაშვილს სახელმწიფო თანხების მითვისებაში ედება ბრალი. საქმე ეხება ომარ ქუცნაშვილის შპს "ჯეოინჯინერგში" გენერალური დირექტორობის პერიოდს, კერძოდ, საუბარია ფონდის "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" დაკვეთით წარმოებულ ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის ერთ-ერთ მონაკვეთზე ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სადაც გამოძიების ინფორმაციით, ომარ ქუცნაშვილის დავალებით, ხელოვნურად იყო გაზრდილი შესრულებული სამუშაოების მოცულობა იმ მიზნით, რომ დამკვეთისგან მეტი ფული ამოღებულიყო.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, სინამდვილეში, სახელმწიფო თანხების მითვისება შეუძლებელი იყო, რადგან კონტრაქტი ფიქსირებული ფასის პრინციპით იყო დადებული. აქედან გამომდინარე, სახელშეკრულებო ფასი ფიქსირებული იყო და ის არ შეიცვლებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობის არც გაზრდის და არც შემცირების შემთხვევაში.

"ეს დასტურდება თავად ხელშეკრულებით, აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ოფიციალური წერილებით, სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების სერტიფიკატით და ასევე უფლებადაცვითი და პროფესიული ორგანიზაციების დასკვნებით," - განმარტავს პატიმარი პროფესორის შვილი. ომარ ქუცნაშვილი უკვე შვიდი თვეა პატიმრობაში იმყოფება. **მედიანიუსი**

## მუშაობა "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კოდექსის პროექტზე

პარლამენტი "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კოდექსის პროექტზე მუშაობს. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის თქმით, კომიტეტის მიერ პროექტი უკვე მომზადებულია.

"ჩვენი აზრით, საჯარო სამსახურში მუშაობის საკითხი მთლიანად ახლებურად უნდა დარეგულირდეს. ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების და ევროსტანდარტების გათვალისწინებით," - აცხადებს პავლე კუბლაშვილი. თუმცა, დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს.

"დეტალებზე საუბარი ნაადრევია, რადგან ბევრი რამ ჯერჯერობით უმრავლესობის შიგნით არც განხილულა და პოზიციები არ შეჯერებულა," - აცხადებს კუბლაშვილი.

მისივე განცხადებით, ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაზეც იურიდიული კომიტეტი მუშაობს და საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე შესაძლებელი გახდება ამ საკითხზე მსჯელობის და განხილვის პროცედურის დაწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პატრიცია ფლორის საჩუქარი ზუგდიდის პოლიციას

გერმანიის ელჩმა საქართველოში პატრიცია ფლორმა რუსულ-ქართული კონფლიქტის შედეგად განადგურებულ ზუგდიდის პოლიციას 30 000 ევროს ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა.

როგორც გერმანიის საელჩოში აცხადებენ, გერმანიის მთავრობამ გამოთქვა სურვილი, ზუგდიდის პოლიციის განყოფილებას ტექნიკური აღჭურვილობით დახმარებოდა. ეს დახმარება 30 000 ევროს ღირებულებისაა და მასში კომპიუტერები, პრინტერები, მონიტორები და ტელეფონები შედის. **პირველი**

## საავტომობილო გზებზე კვლავ სპეციალური რეჟიმი მოქმედებს

დიდთოვლობის გამო საავტომობილო გზებზე კვლავ სპეციალური რეჟიმი მოქმედებს. მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური (ფოსტა) კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინაალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 29-52 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინაალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 90-188 კმ-ებზე (დიზი-უშგულის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინაალმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის 1-90 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 37-73 კმ-ებზე (ნაქერალას უღელტეხილი) მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 95-130 კმ-ებზე (ლენტეხი-მელეს მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამავე გზის 0-95 კმ-ებზე (ქუთაისი-ლენტეხის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის 74-97 კმ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და დიდი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის 17-70 კმ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და დიდი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 90-101 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩხრეკა მოსკოვის აეროპორტებში

რუსეთის აეროპორტებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩასულ მგზავრთა ჩხრეკის წესი ინერგება. ინფორმაციას სააგენტო "ინტერფაქსი" რუსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს. სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილის ვიქტორ ივაშენკოს განმარტებით, ახალი წესის შემოღების მიზეზი რუსეთის რეგიონში საჰაერო ტრანსპორტით ნარკოტიკული ნივთიერებების, იარაღისა და საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობით შედინება გახდა.

ივაშენკოს განცხადებით, ჩრდილოეთ კავკასიელების დეტალური ჩხრეკა შესაბამის ორგანოებს საშუალებას მისცემს გამოავლინონ პირები, რომლებიც ტერაქტების მოწყობასა და ექსტრემისტული ხასიათის ქმედებების განხორციელებას აპირებენ.

ივაშენკოს თქმით, 2008 წელს სატრანსპორტო მილიციის თანამშრომლებმა დაღესტნელ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი დააკავეს, რომლებიც მოსკოვში იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების შესაძენად საკმაოდ დიდი თანხით, 336 მილიონი რუსული რუბლით, მილიონ ნახევარი დოლარითა და მილიონი ევროთი ჩავიდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოსკოვის სასამართლომ საქართველოს მოქალაქეს 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

მოსკოვის სასამართლომ საქართველოს მოქალაქე რუსლან მამარდაშვილსა და სომხეთის მოქალაქე არამ აბრამიანს 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მათ ბრალი ედებათ ერთ-ერთი ფირმის მთვარ ბუღალტერზე თავდასხმასა და დიდი ოდენობით თანხის მითვისებაში. დაკავებულებმა დაზარალებულს დაახლოებით 3 მილიონი რუსული რუბლი წაართვეს.

მოსკოვის პროკურატურის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ დამნაშავეები კონსტიტუციის 162-ე მუხლის მიხედვით გაასამართლეს, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გატაცებას გულისხმობს.

დამნაშავეები 27 ნოემბერს თავს დაესხნენ ერთ-ერთი ფირმის მთავარ ბუღალტერს და მას ჩანთა წაართვეს, რომელშიც 25 ათასი რუსული რუბლი და კომპანიის კუთვნილი 2 მილიონ 940 ათასი რუბლის ფულადი სახსრები იდო. თანამზრახველებმა დანაშაულის ადგილიდან მიმალვა სცადეს, თუმცა ისინი მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# განსასჭელების ოჯახის მიერ დაწესებული ჯილდო

*ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის განხილვა სასამართლოში სხვადასხვა მიზეზის გამო უკვე რამდენჯერმე გადაიდო. ბოლო სასამართლო სხდომაზე, განსასჯელების - ძმები მახმუდოვების დედა დაიკითხა. მან სასამართლო სხდომაზე დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცოტა ხნის წინ, მისმა ოჯახმა ანა პოლიტკოვსკიას მკვლელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმწოდებლისთვის 100 ათასი დოლარის ჯილდო დააწესა.*



*რუსტამ მახმუდოვს გამოძიება ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში ადანაშაულებს.*

**"დარწმუნებული ვარ და იმედი მაქვს, რომ ნამდვილი მკვლელების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას შევძლებ. ჩემს შვილებს პოლიტკოვსკაიას მკვლელობასთან არანაირი შეხება არ აქვთ,"** - განუცხადა ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ზალპა მახმუდოვამ.

მისივე განმარტებით, ქილერი, რომელიც ანა პოლიტკოვსკაიას საცხოვრებელი სახლის ახლოს დამონტაჟებულ სათვალთვალო ვიდეოკამერებზეა გადაღებული, საერთოდ არ ჰგავს მის ვაჟ რუსტამ მახმუდოვს, რომელსაც გამოძიება მკვლელობის შემსრულებლად ასახელებს და რომელზეც ძებნაა გამოცხადებული.

**"იმ დროს, როცა ჟურნალისტი მოკლეს, ჩემი შვილი ჯერ კიდევ ვერ დადიოდა გამართულად. ცოტა ხნით ადრე, ავტოავარიაში მოხვედრის შემდეგ ის კოჭლობდა. ადამიანი კი, რომელიც სათვალთვალო ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს, არც კოჭლობს და გამართულად დადის,"** - განაცხადა განსასჯელების ჯაბრაილ და იბრაგიმ მახმუდოვების დედამ.

მტკიცებულებების გამოქვეყნება მხარეებს ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ. ბოლო სასამართლო პროცესზე იმ სატელეფონო საუბრების ნაწილი გამოაქვეყნეს, რომლებიც მკვლელობის დღეს იყო განხორციელებული.

მკვლელობამდე ანა პოლიტკოვსკაიას მობილურ ტელეფონზე განხორციელებული სატელეფონო საუბრების დეტალურად გამოქვეყნება განსასჯელების ინტერესების დამცველებმა მოითხოვეს იმ მოტივით, რომ მკვლელობის დღეს ჟურნალისტის მოძრაობის ზუსტი მარშრუტი დაზუსტებულიყო. სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, განსასჯელების ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ამ მტკიცებულებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფების ბრალეულობა არ იკვეთება. საქმე ისაა, რომ მოსამართლემ ვერ შეძლო სრულად წარმოედგინა მკვლელობის დღეს განხორციელებული ყველა სატელეფონო ჩანაწერი. როგორც გაირკვა, ამ საუბრების სრული ვერსია არ არსებობს.

როგორც განსასჯელების ადვოკატები აცხადებენ, მათ ეჭვი აქვთ, რომ გამოძიებას გარკვეული მიზეზების გამო, სწორად არ დაუდგენია ჟურნალისტის მოძრაობის ზუსტი მარშრუტი.

"სატელეფონო საუბრების სრულად შესწავლა გვჭირდებოდა, რომ დადგენილიყო, მართლაც ემთხვევა თუ არა ანა პოლიტკოვსკაიას გადაადგილების სქემა გამოძიების მიერ შემოთავაზებულ მოძრაობის მარშრუტს," - განაცხადეს განსასჯელების ინტერესების დამცველებმა.

რაც შეეხება სატელეფონო საუბრების სრული ვერსიის გაქრობას. ადვოკატები თვლიან, რომ აქაც გამოძიების ხელი ურევია და მკვლელობის დღეს განხორციელებული ზოგიერთი სატელეფონო საუბრის საქმიდან ამოგდება სწორედ გამოძიების ინტერესებში შედის.

შემდეგი სასამართლო პროცესი მოწმეების დაკითხვით განახლდება. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მოწმის სტატუსით ჩვენება უკვე მისცა გარდაცვლილის კოლეგამ "ნოვაია გაზეტას" ჟურნალისტმა გალინა მურსალიევამ, რომელიც ანა პოლიტკოვსკაიასთან ერთად შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა.

**"მე არაფერი ვიცი პოლიტკოვსკაიას მისამართით განხორციელებული რაიმე კონკრეტული მუქარების თაობაზე. ანა პოლიტკოვსკაია იყო ადამიანი, რომელიც ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა, რომ სამართლიანობას ეზეიმა,"** - განაცხადა გარდაცვლილის კოლეგამ. გალინა მურსალიევას განცხადებით, ანა პოლიტკოვსკაიას პუბლიკაციები რეაგირების გარეშე არასდროს რჩებოდა. ჟურნალისტის ამა თუ იმ მასალასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეები მუდმივად აღიძვრებოდა.

# სკინჰედები გაასამართლეს

*მოსკოვის ხამოვნიჩესკის სასამართლომ ორი სკინჰედი გაასამართლა, რომლებმაც ტაჯიკეთის მოქალაქის სიკვდილით დასჯის ინსცენირება მოაწყვეს. ნეონაცისტური ორგანიზაცია "ფორმატ 18"-ის ლიდერს მაქსიმ მარცინკევიჩს სასამართლომ სამი წლითა და ხუთი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. არტემ ზუევს კი, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სამწლიანი პირობითი სასჯელი მიესაჯა. არტემ ზუევის შემამსუბუქებელ გარემოებად მოსამართლემ ის ფაქტი ჩათვალა, რომ მას ორი არასრულწლოვანი შვილი ჰყავს.*
*ორივე განსასჯელი დამნაშავედ ცნეს ეროვნული შუღლის გაღვივებაში.*



*ნეონაცისტური ორგანიზაცია "ფორმატ 18"-ის ლიდერს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა.*

როგორც გაირკვა, დანაშაულებრივი დაჯგუფება მარცინკევიჩმა 2006 წელს ჩამოაყალიბა. ჯგუფში, ზუევის ჩათვლით, 20-მდე სკინჰედი გაერთიანდა. დაჯგუფების წევრებს როლები ჰქონდათ გადანაწილებული და პერიოდულად, ადამიანების სიკვდილით დასჯის ინსცენირებას აწყობდნენ. სიკვდილით დასჯის იმიტირებულ სანახაობაზე კი ჟურნალისტებს იწვევდნენ. გამოძიების ვერსიით, ვიდეოკლიპი, რომელიც —¯˝ ´-ს, ˝ ´-სა და ´ -ს ეთერით გავიდა, პროფესიონალი გადამღები ჯგუფის მიერ იყო ჩაწერილი.

ვიდეოჩანაწერზე ნაჩვენები იყო, როგორ სჯიდნენ სიკვდილით ტაჯიკელ ნარკომოვაჭრეს. ის ჯერ ჩამოახრჩვეს, შემდეგ ფეხი მოაჭრეს, ბოლოს კი კოცონზე დაწვეს.

განაჩენის გამოტანისას სასამართლო იმ ექსპერტების დასკვნას დაეყრდნო, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მკვლელობით დასჯის ინსცენირებისას დამსჯელების სისასტიკე იკვეთება, რომლებიც საზოგადოებას ძალადობისკენ მოუწოდებენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მარცინკევიჩი სკინჰედების ჯგუფში ჯერ კიდევ მაშინ მოხვდა, როდესაც მეცხრე კლასში სწავლობდა. გამოძიების ინფორმაციითვე, 14-15 წლის მარცინკევიჩი თავისი შეხედულებების პროპაგანდას აქტიურად ეწეოდა.

**"მოსკოვში მხოლოდ რუსები უნდა ცხოვრობდნენ,"** - ასეთი იყო მარცინკევიჩის მოწოდება. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ბრალდებულები სხვადასხვა სახის იმიტირებული სცენების გადაღებისას საკუთარ მოქმედებას ზედმიწევნით აცნობიერებდნენ. ექსპერტების დასკვნით, სიკვდილით დასჯის ინსცენირების გადაღებას და გავრცელებას ერთადერთი მიზანი ჰქონდა - ნაციონალური ნიშნით შუღლის გაღვივება.

სასამრთლო პროცესების მიმდინარეობისას ბრალდების მხარე განსასჯელების მკაცრად დასჯას მოითხოვდა. ბრალდებულების ინტერესების დამცველები კი აცხადებდნენ, რომ სიკვდილის დასჯის ინსცენირებისთვის უნდა დასჯილიყვნენ არა მხოლოდ მათი დაცვის ქვეშ მყოფები, არამედ ისინიც, ვინ ამ სანახაობას ვიდეოფირზე იღებდა და ისინიც, ვინც ამ ვიდეორგოლებს ეთერში უშვებდა.

მარცინკევიჩისთვის ეს პირველი განაჩენი არ არის. მის წინააღმდე სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე წლის წინ მომხადრი ინციდენტის გამო აღიძრა, როდესაც კლუბ "ბილინგვში" გამართული პოლიტიკური დებატებისას მან და მისმა 15-მდე თანამზრახველმა დებატების ჩაშლა ნაციონალური ლოზუნგებით მოინდომეს. მათი მოქმედება გამოძიებამ ექსტრემიზმის გამოვლინებად და ნაციონალური შუღლის გაღვივებად მიიჩნია. მარცინკევიჩს მაშინ სასამართლომ სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

# ბრალდებები ისრაელის არმიის წინააღმდეგ

ისრაელის შეიარაღებულ ძალებში დაიწყო გამოძიება, რომლის მიზანია, პასუხი გაეცეს ბრალდებას ღაზას სექტორში ფოსფორის შემცველი საარტილერიო ჭურვების გამოყენებაზე. ისრაელის არმიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ასეთი ბრალდებით საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაციები გამოვიდნენ, რომელთაც მხარი ისრაელის არასამთავრობოებმაც დაუჭირეს. საერთაშორისო სამართლის თანახმად, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ფოსფორის შემცველი ჭურვების გამოყენება აკრძალულია. ფოსფორის ბომბების გამოყენება მხოლოდ გაშლილ ბრძოლის ველზეა დაშვებული.

პირველი ასეთი ბრალდება ისრაელის არმიის წინააღმდეგ გაერო-დან გაისმა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ღაზას სექტორში გაერო-ს წარმომადგენლობის შენობა სამჯერ დაიბომბა ფოსფორის შემცველი ჭურვებით, რის შედეგადაც გაჩენილმა ხანძარმა მთლიანად გაანადგურა გაერო-ს მისიის მიერ ღაზაში შეტანილი ჰუმანიტარული დახმარება.


ისრაელის არმიას აკრძალული ჭურვების გამოყენებაში ედება ბრალი.
AFP ' 2009

ისრაელის არმიის სარდლობა კი ამ დრომდე ამტკიცებდა, რომ ღაზაში სამკვირიანი სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას მხოლოდ საერთაშორისო სამართლით დაშვებული იარაღი გამოიყენებოდა. თუმცა, ჯერჯერობით ისრაელის სამხედრო სარდლობას არ მიუწოდებია გაერო-სთვის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის იარაღს იყენებდნენ ღაზაში ანტიტერორისტული ოპერაციის დროს.

თეთრი ფოსფორი, რომელსაც საარტილერიო ჭურვები შეიცავს, იწვევს უმაღლესი ხარისხის დამწვრობას, რისგანაც ადამიანი ხშირ შემთხვევაში იღუპება. თუ ეს ნივთიერება ორგანიზმის შიგნით მოხვდა, ადამიანის გადარჩენის შანსი არ არსებობს.

გარდა ამისა, უახლოეს მომავალში ისრაელის წინააღმდეგ შესაძლოა კიდევ ერთი ბრალდება გაისმას. კერძოდ, საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტომ დაიწყო არაბული სახელმწიფოების წარმომადგენელთა განცხადების გამოძიება, რომლის თანახმადაც, ისრაელმა ღაზაში გაღარიბებული ურანის შემცველი იარაღი გამოიყენა.

სააგენტოს წარმომადგენელმა მელის ფლემინგმა განაცხადა, რომ ეს საკითხი დეტალურად იქნება გამოძიებული, იუწყება "ბი-ბი-სი". ისრაელის მხარემ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალი გაღარიბებული ურანის გამოყენებას არ კრძალავს. შესაბამისად, ისრაელის განცხადება, რომ სამხედრო ოპერაციის დროს სამართლის ყველა ნორმას იცავდა, სრულიად ადეკვატურია. თუმცა, გაღარიბებული ურანი იწვევს დასხივებას, რამაც შესაძლოა, ღაზაში რადიაციის მაღალი ფონი შექმნას.

# ჩრდილოკავკასიური ნაღმი

## მოსკოვი რეგიონში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს

უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარება რეგიონის სტაბილურობას ემუქრება. თუკი აქამდე რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, საერთაშორისო საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება კონტროლს ექვემდებარებოდა, დღეს უკვე საპირისპირო განცხადებები კეთდება.

გუშინ დონის როსტოვში ჟურნალისტებისთვის სპეციალური პრესკონფერენცია გამართა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არკადი ედელევმა. მისი თქმით, ამჟამად ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ხუთასამდე ბოევიკი მოქმედებს, ხოლო ინგუშეთში მებრძოლთა რიცხვი 120-ს შეადგენს. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციის სამხრეთში ვითარება იძაბება, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ გასულ წელს რუსმა სამართალდამცავებმა 74 ტერორისტული აქტის მცდელობა აღკვეთეს.

**"ინგუშეთში საკმაოდ ძლიერია ბოევიკთა ხელშემწყობი ბაზა. 120 მოქმედ ბოევიკს აუცილებლად უნდა დავუმატოთ მათი ნათესავებიც. ამდენად, ეს ხელშემწყობი ბაზა ინგუშეთში 1237 ადამიანს შეადგენს,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ. მან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ბოევიკების და უცხოეთის კავშირებზეც ისაუბრა.


REUTERS

**"ბოევიკთა მოქმედებების კოორდინიცია და მათი დაფინანსება კვლავ საზღვარგარეთიდან ხორციელდება. ამ საქმეში მთავარ როლს "ალ ქაიდას" საერთაშორისო ტერორისტული ქსელი ასრულებს, რომლის ემისრები აქტიურად მუშაობენ ჩეჩნეთსა და დაღესტანში. ისინი ბანდფორმირებების ინსპექტირებას ახდენენ, უკმაყოფილებას გამოხატავენ მათი მოქმედების გამო და სურთ, გააქტიურონ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობა,"** - აღნიშნა ედელევმა. მისი განცხადებით, "ალქაიდა" ჩრდილოკავკასიელ ექსტრემისტებს თანამედროვე შეიარაღებასაც აწვდის. ედელევმა სინანულით აღნიშნა, რომ ბოევიკებს უკვე აქვთ თანამედროვე სისტემის რადიოგადამცემი მოწყობილობები, რომლის გადაჭერაც ძალზედ ძნელია.

ინგუშეთში შექმნილ რთულ ვითარებაზე საუბრობს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეორე მაღალი ჩინოსანი მიხაილ პანკოვი. იგი რუსეთის შსს-ს სამხრეთის ოლქის სამმართველოს უფროსია და უშუალოდ არის პასუხისმგებელი ჩრდილოკავკასიაში სიტუაციის გაკონტროლებაზე.

**"ინგუშეთში რთული ვითარებაა. აქ ჩადენილი დანაშაულების 70 პროცენტი რეგისტრირებულია, როგორც სამართალდამცავი ორგანოების, სამხედრო მოსამსახურეების, ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებული თავდახმები,"** - აცხადებს პანკოვი.

მისი თქმით, 2008 წელს სამართალდამცველებმა 74-მდე ტერაქტის მცდელობა აღკვეთეს და 32 ბოევიკი დააკავეს, რომლებიც ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აქტიურ ღონისძიებებს გეგმავდნენ.

*საკუთარი ინფორმაცია*

### რუსეთის პატრიარქის არჩევნებს 64 ქვეყნის ეკლესიის წარმომადგენლები დაესწრებიან

რუსეთის პატრიარქის არჩევის გამო რუსული ეკლესიის გაფართოებული ფორუმი მოსკოვში 27-29 იანვარს გაიმართება.

საეკლესიო ფორუმში, რომელსაც სულ 711 ადამიანი დაესწრება, სასულიეროს გარდა, საერო პირებიც მიიღებენ მონაწილეობას. მათ შორის პოლიტიკოსებიც.

ფორუმს 64 ქვეყნის ეკლესიის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. **მედიანიუსი**

### ირანი ევროპას ენერგორესურსებს სთავაზობს

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მეჰდი საფარის განცხადებით, ირანს შესწევს უნარი, უზრუნველყოს ევროკავშირის ქვეყნები საკმარისი ენერგორესურსებით.

ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა მეჰდი საფარიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა ირანის მზადყოფნის შესახებ ევროკავშირთან დიალოგისათვის და აღნიშნა, რომ, ენერგორესურსებით უზრუნველყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია აგრეთვე ევროპაში, ირანის ნავთობისა და გაზის ექსპორტის გაგრძელება. **მედიანიუსი**

### ბარაკ ობამამ ყოფილი ადმინისტრაციის ყველა განკარგულება შეაჩერა

აშშ-ს პრეზიდენტის თანამდებობაზე ბარაკ ჰუსეინ ობამას ერთ-ერთი პირველი ბრძანება ყოფილი ადმინისტრაციის ყველა განკარგულების შეჩერება იყო, რომლებიც ძალაში ჯერ არ შესულა. ამის შესახებ ჟურნალისტებს თეთრი სახლის სპიკერის მოადგილემ ბილ ბარტონმა განუცხადა. სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელის წარმომადგენლის თქმით, შესაბამისი გადაწყვეტილება ყველა ფედერალურ სააგენტოსა და უწყებას გადაეცა. დოკუმენტს ხელი რამ ემანუელმა მოაწერა, რომელიც თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელის მოვალეობებს შეასრულებს. ყოფილი ხელმძღვანელობის განკარგულებების რეალიზაცია მანამდე შეჩერდება, სანამ აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია აღნიშნულ განკარგულებებს იურიდიული და პოლიტიკური კუთხით გადახედავს, - განმარტა ბილ ბარტონმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ისრაელმა ღაზას სექტორიდან ჯარები სრულად გაიყვანა

ისრაელმა 22-დღიანი ოპერაციის შემდეგ, რომელიც რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება "ჰამასის" წინააღმდეგ იყო მიმართული, ღაზას სექტორიდან ჯარები სრულად გაიყვანა. ინფორმაციას სააგენტო "როიტერი" ავრცელებს. ცახალის ქვედანაყოფის ძირითადი ნაწილი სექტორიდან დღეს დილით გაიყვანეს. ისრაელის მთავრობამ ჯარების გაყვანა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინაუგურაციას დაუკავშირა. ამის მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ისრაელს არ სურს ახალ პრეზიდენტს პრობლემები პრეზიდენტობის პირველსავე დღეებში შეუქმნას.

ისრაელის ჯარების ნაწილი კვლავ სექტორის საზღვრებთან რჩება. ვითარების გამწვავების შემთხვევაში ისრაელი შეიარაღებული დაპირისპირების განახლებას არ გამორიცხავს.

ისრაელმა ცალხმრივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება 17 იანვარს მიიღო. "ჰამასის" წევრები ცეცხლის შეწყვეტაზე იმ პირობებით დათანხმდნენ, რომ ისრაელი ღაზას სექტორიდან ჯარებს 7 დღის განმავლობაში გაიყვანდა. ოპერაციის განმავლობაში პალესტინელების მხრიდან 1300 ადამიანი დაიღუპა.

იმ შემთხვევაში, თუ ღაზას სექტორიდან კვლავ განახლდება სარაკეტო სროლები, ისრაელი დაპირისპირების განახლებას არ გამორიცხავს.

ისრაელის ხელისუფლება ცდილობს, ხელი შეუშალოს ისლამისტურ დაჯგუფებას გადაიარაღებაში. ისრაელის მთავრობამ უკვე მიმართა დახმარებისთვის ამერიკის შეერებულ შტატებსა და ევროსაბჭოს. "ჰამასის" წევრები კი განმარტავენ, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაიარაღებას მაინც შეძლებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოსკოვის აეროპორტებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩასულ მგზავრთა ტოტალური ჩხრეკის წესი შემოდის

რუსეთის აეროპორტებში დაფრენის შემდგომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩასულ მგზავრთა ჩხრეკის წესი შემოდის. ინფორმაციას სააგენტო "ინტერფაქსი" რუსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს. სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილე ვიქტორ ივაშენკოს განმარტებით, ახალი წესის შემოღების მიზეზი რუსეთის რეგიონში საჰაერო ტრანსპორტით ნარკოტიკული ნივთიერებების, იარაღისა და საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობით შემოდინება გახდა.

ივაშენკოს განცხადებით, ჩრდილოეთ კავკასიელების დეტალური ჩხრეკა შესაბამის ორგანოებს საშუალებას მისცემს, გამოავლინონ პირები, რომლებიც ტერაქტების მოწყობასა და ექსტრემისტული ხასიათის ქმედებების განხორციელებას აპირებენ.

ამასთან, ივაშენკომ დასძინა, რომ 2008 წელს სატრანსპორტო მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს დაღესტნელ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მოსკოვში იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების შესაძენად საკმაოდ დიდი თანხით 336 მილიონი რუსული რუბლით, მილიონ ნახევარი დოლარითა და მილიონი ევროთი ჩავიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პოზიციების თანხვედრა

## რუსეთის ენერგეტიკულმა პოლიტიკამ უკრაინისა და ბელარუსის დაახლოება გამოიწვია

შაბათს ჩერნიგოვში უკრაინისა და ბელარუსის პრეზიდენტების მოლაპარაკებებზე ხელი მოეწერა მთელ რიგ ეკონომიკურ დოკუმენტებს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი აღმოჩნდა მოლაპარაკებების პოლიტიკური შედეგი. ალექსანდრე ლუკაშენკომ აღიარა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში უკრაინა ბელარუსს აშშ-სა და ევროპასთან შერიგებაში ეხმარებოდა. კიევი და მინსკი ასევე შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე ევროკავშირის "აღმოსავლური პარტნიორობის" ფარგლებში, რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დასავლური ღირებულებების დანერგვას ითვალისწინებს.

ლუკაშენკოს ვიზიტი ჩერნიგოვში ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ალექსანდრე ლუკაშენკო ვიქტორ იუშჩენკოს მისი პრეზიდენტობის ოთხი წლის განმავლობაში პირველად ეწვია და მის საზოგადოებაში ოთხ საათზე მეტი დაყო. ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრა "ერთი ერთზე" ფორმატში გაიმართა, რის შემდეგაც მათი თავმჯდომარეობით უკრაინა-ბელარუსის მოლაპარაკებები დაიწყო.

ალექსანდრე ლუკაშენკომ თავის უკრაინელ კოლეგასთან პირისპირ შეხვედრამდე ხმამაღალი განცხადება გააკეთა. **"ჩვენ არასდროს გვქონია პრობლემები და არც ოდესმე გვექნება. ბელარუსში არ არსებობს ალერგია არც სახელმწიფოს და არც ხელმძღვანელობის მიმართ. ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით იმას, რომ უკრაინა საკითხებს ხალხის ინტერესების გათვალისწინებით წყვეტს,"** - განაცხადა ლუკაშენკომ.

ეს განცხადება მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რასაც ბოლო დროს უკრაინასა და პირადად იუშჩენკოს შესახებ მინსკის მოკავშირე მოსკოვში ლაპარაკობენ. უკრაინის ლიდერმა ლუკაშენკოს რევერანსითვე უპასუხა: **"ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ორმხრივ ურთიერთობებს რაიმე პრობლემები არ ახლავს."**

"რია ნოვოსტის" ცნობით, იუშჩენკომ და ლუკაშენკომ, რიგ სხვა დოკუმენტებთან ერთად, ხელი მოაწერეს ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს; საკონსულო კონვენციას; უკრაინისა და ბელარუსის მინისტრთა კაბინეტებსა და ეროვნულ ბანკებს შორის მემორანდუმს მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსიფიცირების ზომების შემუშავების შესახებ.

ვინაიდან ამ საკითხების განხილვა ჯერჯერობით ჩარჩოს დონეზე მოხერხდა, ლუკაშენკომ თავისი უკრაინელი კოლეგა მინსკში დაპატიჟა. ათი დღის შემდეგ კი ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურების შეხვედრაა დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინისა და ბელარუსის პრეზიდენტებს შორის მოლაპარაკებები იმგვარად წარიმართა, თითქოს ისინი წელიწადში რამდენჯერმე მართავდნენ მსგავს შეხვედრებს. სინამდვილეში, კი ვიქტორ იუშჩენკოს ოთხწლიანი პრეზიდენტობის პერიოდში ლუკაშენკო პირველად ჩავიდა უკრაინაში. იქამდე მხარეები არაერთხელ აცხადებდნენ, რომ მსგავსი შეხვედრა ჩატარდებოდა, თუმცა მისი ვადები ხშირად იცვლებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ბელარუსის ლიდერს პროდასავლურ იუშჩენკოსთან ურთიერთობა, უბრალოდ, არ სურდა.

თუმცა, გასულ წელს ლუკაშენკო ერთგვარად შეიცვალა. მან მაქსიმალური გააკეთა იმისთვის, რომ ანტიდასავლური განდეგილი პრეზიდენტის იმიჯი გამოესწორებინა. მან დაიწყო ევროკავშირთან ურთიერთობების დალაგება, უფრო მეტ დროს უთმობდა ევროპულ მედიასთან ურთიერთობებს და თითქმის მთლიანად თქვა უარი ანტიდასავლურ განცხადებებზე. ალექსანდრე ლუკაშენკომ სექტემბერში, საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ევროკავშირის სურვილების შესაბამისად, ცნობილი ბელარუსი ოპოზიციონერები პატიმრობიდან გაათავისუფლა. ამის სანაცვლოდ ევროკავშირმა ბელარუსის პრეზიდენტსა და მაღალჩინოსნების ნაწილს ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე შეზღუდვები მოუხსნა. მიმდინარე თვეში კი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ეკონომიკის მხარდასაჭერად მინსკს 2,5 მილიარდი დოლარის კრედიტი გამოუყო.

იქამდე 2 მილიარდი დოლარის კრედიტი ბელარუსს რუსეთის ფედერაციამაც მისცა, თუმცა ამან მოსკოვის დიდი ხნის პარტნიორს დასავლეთთან დაახლოებაში ხელი არ შეუშალა. ორშაბათს ბელარუსში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ჟოზე მანუელ პინტუ ტეიშეირასთან შეხვედრისას პრეზიდენტმა ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ევროკავშირთან და აშშ-სთან დიალოგი უფრო კონსტრუქციული გახდა.

**"ბოლო დროს ევროკავშირთან და ამერიკელებთან ჩვენი ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენციები გამოიკვეთა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ კრედიტის გამოყოფა დასტურია იმისა, რომ ჩვენ რაღაცას სწორად ვაკეთებდით. ჩვენ სურლფასოვან თანამშრომლობაში ვართ დაინტერესებულნი,"** - აღნიშნა ბელარუსის პრეზიდენტმა.

ევროპელი დიპლომატი, თავის მხრივ, დაჰპირდა ლუკაშენკოს, რომ მისი ქვეყანა პროგრამა "აღმოსავლურ პარტნიორობაში" იქნება ჩართული, რომელიც ევროკავშირმა გასული წლის ბოლოს დაამტკიცა და ევროპულ ორბიტაში პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოზიდვას ითვალისწინებს. უკვე მომდევნო კვირაში ბრიუსელში ამ საკითხზე ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი მარტინოვი იმსჯელებს, რომელიც ევროპას უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე პირველად ეწვევა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე კი პრაღაში გაიმართება ევროკავშირის სამიტი "აღმოსავლური პარტნიორობა", რომელზეც თავად ლუკაშენკოა მიწვეული.

აღნიშნული ინიციატივა, სავარაუდოდ, მრავალეროვნული ფორუმის სახით წარიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის 27 ქვეყანა, სუამ-ის წევრი სახელმწიფოები (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) და სომხეთი. ნავარაუდევი იყო, რომ ბელარუსი ახალ ინიციატივას ჯერჯერობით ექსპერტების დონეზე შეუერთდებოდა, მაგრამ საპასუხო ნაბიჯების გათვალიწინებით, სავსებით შესაძლებელია, რომ სრულუფლებიანი მონაწილეც გახდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს მინსკი აქტიურად გამოხატავს უკმაყოფილებას რუსეთთან განვითარებული ენერგეტიკული ურთიერთობების გამო. 17 იანვარს რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მიერ ორგანიზებულ "გაზის სამიტზე" ბელარუსის პრემიერ-მინისტრი სერგეი სიდორსკი კიდევ ერთხელ შეეცადა, ბელარუსის ტერიტორიაზე გაზსადენ "იამალ-ევროპას" მეორე ხაზის გაყვანის საკითხი წამოეწია. თუმცა, რუსეთის მხარე არაერთგზის აღნიშნავდა, რომ მოცემულ ვარიანტს მიზანშეწონილად არ მიიჩნევს და პრიორიტეტს "ჩრდილოეთის ნაკადისა" და "სამხრეთის ნაკადის" მშენებლობას ანიჭებს. გარდა ამისა, მოსკოვი აცხადებდა, რომ გარდაუვალია მინსკის ეტაპობრივად გადასვლა გაზის საბაზრო ფასებზე, რამაც, შესაძლოა, სერიოზული დარტყმა მიაყენოს კრიზისის გამო დასუსტებულ ქვეყნის ბიუჯეტს.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ლუკაშენკოსა და იუშჩენკოს მოლაპარაკებები მხარეების რუსეთთან ურთიერთობებზე გავლენას ვერ მოახდენენ.

ეკონომიკურ საკითხებში ერთ-ერთ უკრაინელ ექსპერტ ვასილ იურჩიშინის აზრით, "ბელარუსს არ შეუძლია რუსეთისგან დამოუკიდებელი ენერგეტიკული პოლიტიკის წარმოება, ამდენად, ყველა ეჭვი "სატრანზიტო ქვეყნების" შეთქმულების შესახებ საფუძველს არის მოკლებული."

**"იუშჩენკოსა და ლუკაშენკოს შეხვედრა მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვა გახლავთ. თუმცა, სიტუაცია იმგვარად ვითარდება, რომ შესაძლოა, ბელარუსი სულ მალე უკრაინის უახლოესი მოკავშირე და მთავარი პარტნიორი გახდეს. ჩვენ ერთნაირი ენერგეტიკული პრობლემები გვაქვს, ხოლო ჩვენს ლიდერებს - მსგავსი პოლიტიკური ამოცანები. შესაძლოა, იუშჩენკო აშშ-ს წინაშე ბელარუსის ადვოკატის როლში წარდგეს,"** - მიიჩნევს უკრაინელი პოლიტოლოგი კონსტანტინ ბონდარენკო.

პოლიტოლოგის აზრით, რუსული გაზის ტრანსპორტირების საკითხებში უკრაინა და ბელარუსი ჯერჯერობით ვერ ახდენენ ერთიანი პოზიციის დემონსტრირებას, მაგრამ დიდი ხანია, საუბარია იმაზე, რომ მინსკმა ოდესა-ბროდის ნავთობსადენის უკრაინულ პროექტს (პოლონეთის გვერდის ავლით ბალტიის ქვეყნებზე გასვლის კონტექსტში) შესაძლოა, მხარი დაუჭიროს.

ბონდარენკომ იქვე აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე უკრაინა და ბელარუსი აქტიურად ზრდიდნენ საქონელბრუნვის მოცულობას: 2003 წელს ეს მაჩვენებელი 705,5 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2008 წელს 5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

სრულიად განსხვავებულია რუსი ექსპერტების მოსაზრებები. დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმირ ჟარიხინი მიიჩნევს, რომ მინსკსა და კიევს შორის ენერგეტიკულ საკითხზე რაიმე სახის კონსოლიდაციის სერიოზული წინაპირობები არ არსებობს. **"რა თქმა უნდა, ლუკაშენკოს უყვარს ამგვარი თამაში, მაგრამ რეალური მდგომარეობა ამას ხელს არ უწყობს. უკრაინა და ბელარუსი ორი სატრანზიტო ქვეყანაა, რომლებიც ევროპაში რუსული გაზის გატარების საკითხში უფრო კონკურენტების როლში გამოდიან,"** - იმედოვნებს ჟარიხინი.


AFP ' 2009

*იუშჩენკომ და ლუკაშენკომ ერთმანეთის მიმართ რევერანსები არ დაიშურეს.*

# რევიუ




მილანში მამაკაცის ტანსაცმლის მოდის ყოველწლიური კვირეული მიდინარეობს. ამჯერად კვირეულის ორგანიზატორებმა სანახაობის გამალაზება მოინდომეს და შოუ ბალეტის მოცეკვავეებმა გახსნეს. ეს პერფომანსი დეფილეს სტუმრებს ძალიან მოეწონათ, პრესამ კი ნოვაცია დადებითად შეაფასა. ამრიგად გამორიცხული არაა, რომ ამიერიდან მაღალი მოდის კვირეულები მსგავსი წარმოდგენებით გაიხსნას ხოლმე.

## შიშველი მადონა 15 ათას დოლარად შეაფასეს

მომღერალ მადონას შიშველ მდგომარეობაში 1979 წელს გადაღებული ფოტოსურათები Christie's აუქციონზე შესაძლოა 15 ათას დოლარად გაიყიდოს. ასეთი გახსნილი სახის ფოტო ჯერ კიდევ იმ წლებშია გადაღებული, როცა მადონა მოცეკვავედ მუშაობდა და თავი ძლივს გაჰქონდა. მოცეკვავე მადონა ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფის ლი ფრიდლანდერის განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც გახდილი ნატურების სერიის გასაკეთებლად ემზადებოდა. Christie's აუქციონის ექსპერტებმა ფოტო 10-15 ათას დოლარად შეაფასეს. Christie's ფოტოგრაფიის საქმეთა მმართველის მეტიუ ჰამერის განცხადებით, აღნიშნული ფოტოსურათი, ფოტოხელოვანის მიერ გადაღებულ მადონას ფოტოებს შორის, "შესაძლოა ყველაზე გახსნილია".

"ფრიდლანდერისთვის ეს ძალიან ტიპიური ფოტოა. მას ძალიან უყვარს ბუნებრივი ქალები. აქ არ არის სულ ცოტა ვნებაც კი და სწორედ ეს აძლევს ნამუშევარს მხატვრულ ძალას", - ამბობს მეტიუ ჰამერი. როგორც თავად ფოტოგრაფი აღნიშნავს, ფოტოების გადაღების დროს მადონამ მასზე შთაბეჭდილება დატოვა, რომ იგი თავის თავში ძალიან დარწმუნებული და მიწაზე მყარად მდგარი გოგონა იყო. "მან მითხრა, რომ როკ-ჯგუფის შექმნას აპირებდა, თუმცა ასეთ ასაკში ყოველი მეორე ცდილობს ჯგუფის შექმნას. ის ძალიან კარგი და პროფესიონალი მოდელი იყო", - გაიხსენა ფრიდლანდერმა. აღნიშნული ფოტოსურათი, ისევე, როგორც ფრიდლანდერის ფოტოსესიაზე გადაღებული სხვა ხუთი ფოტოსურათი, ჟურნალმა Playboy-მ იყიდა. მომავალმა მომღერალმა, პოზირებისთვის თითო ფოტოში 25 დოლარი მიიღო.




Christie's აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ასევე, ფოტოგრაფ ჰელმუტ ნიუტონის მიერ მადონას ცოტა მოგვიანებით გადაღებული ფოტოსურათი. ეს სურათიც 10-15 ათას დოლარად არის შეფასებული. აღნიშნულ ფოტოსურათზე, რომელიც თავის დროზე ასევე ჟურნალმა Playboy-მ იყიდა, მადონა წითელ მოკლე კაბაშია გამოწყობილი, ხოლო მასთან ახლოს მუხლებზე დგას მამაკაცი, რომელიც მადონას ფეხზე ჩულქის ჩაცმას ცდილობს. ეს ფოტოსურათი წამყვანი ფოტოხელოვნების კოლექციის ნაწილია და ლეონ და მიხაელ კონსტანტინერებს ეკუთვნის, რომლებმაც "ვარსკვლავთა" ფოტოების შეგროვება 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს. ამავე კოლექციაში შემავალი მერილინ მონროს ფოტოსურათების სერია, დეკემბერში დაახლოებით 150 ათას დოლარად გაიყიდა.

მომავალი აუქციონი ნიუ იორკში 12 თებერვალს გაიმართება.

დათო ტურაშვილის ხუთშაბათი



# ტანჟერი

ნიკა გამყრელიძე რომ გავიცანი, მაროკოდან ახალი ჩამოსული იყო და რადგან ნათესავი ბერბერები იქაც მეგულებოდნენ, მაღრიბული შთაბეჭდილებების შესახებ დაწვრილებით გამოვკითხე.

მერე რამდენჯერაც შევხვდი, იმდენჯერვე მოვაყოლე იქაური ამბები და ბოლოს კი ისე შევაწუხე რომ მხოლოდ ძირითად, განსაკუთრებით საინტერესო მოვლენების მოსმენას დავყაბულდი.

საინტერესო და განსაკუთრებული მაროკოში საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ მათ შორის ერთი, ნამდვილი შედევრი იყო და ახლაც თვალწინ მიდგას ტანჟერის სანაპირო. მაროკოში არის ადგილი, საიდანაც კარგ ამინდში, ხმელთაშუაზღვის გაღმა მხარეს ესპანეთის კონტურები მოჩანს და თუ ცა მოწმენდილია, იმ ადგილას თურმე უამრავი ადამიანი იკრიბება, რომლებიც უბრალოდ სხედან (მთელი დღის განმავლობაში) და საოცნებო ესპანეთს გაჰყურებენ.

არათუ ვერ ვივიწყებ, როცა ევროკავშირზე ვფიქრობ, ყოველთვის ეს სცენა მახსენდება, მაგრამ მაროკოელები ევროპასთან, ჩვენზე ახლოს არიან, რადგან ევროკავშირისაგან ჩვენ (მაროკოელებისაგან განსხვავებით) ზღვა კი არა, მთელი ოკეანე გვაშორებს. თუმცა ეს ოკეანე ისევე ამოივსება და გაქრება, როგორც ნებისმიერი ზღვა დაილევა კოვზით, თუ ჩვენ მართლა მოვისურვებთ ევროპაში დაბრუნებას. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, როცა ევროპული დემოკრატიის გათავისების სურვილი შინაგან მოთხოვნილებაში გადაგვეზრდება და ევროპული ფასეულობების მხოლოდ ზედაპირული დეკლარირებით არ დავკმაყოფილდებით. ძალიან უცნაურია რომ პოსტსაბჭოურ საქართველოში ისევ იგრძნობა დასავლური ფასეულობებისა და თავისუფლების შიში და ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილსაც ისევ ჰგონია რომ რუსებმა შემთხვევით დაგვბომბეს.

ამასწინათ ერთი რუსული სიმღერაც მოვისმინე, რომელსაც ერთი ქართველი მომღერალი მღეროდა ძალიან სევდიანად და მიუხედავად იმისა რომ რუსული არ ვიცი, მაინც მივხვდი რომ ის სიმღერა იმედგაცრუებაზე იყო. იმ მომღერალს ჰგონია რომ რუსებმა იმედი გაგვიცრუეს და ალბათ ისიც ჰგონია რომ ეს სიმღერა ანტირუსული განწყობილებების გამოხატულებაა. სინამდვილეში კი ძალიან პრორუსული აგიტაციის უნებლიე ნიმუშია, რადგან რუსებმა თუ იმედი გაგვიცრუეს, ეს იმას ნიშნავს რომ მათი იმედი მაინც გვქონდა. პირადად მე კი რუსების იმედი მაშინაც არ მქონია, როცა ქართველი მომღერლები კრემლში მღეროდნენ ხოლმე ომახიანად და მაშინ იმაზეც კი მიფიქრია თუ რითი ჯობდა კრემლში სიმღერა სპარსეთის შაჰის კარზე ცეკვას და პასუხი არც მაშინ მქონია და არც ახლა მაქვს.

რუსები კი ისევე მიყვარს, როგორც ნებისმიერი სხვა უცხო ხალხი, მაგრამ თუ რუსულ იმპერიულ სივრცეს, უპირველესად მენტალურად არ დავშორდებით, ჩვენსა და ევროპულ სამყაროს შორის ისევ გადაულახავი ოკეანე იარსებებს და შავი ზღვის ქართული ნაპირებიდან ევროკავშირის კონტურებსაც კი ვერასოდეს დავინახავთ.

არადა სწორედ ევროპელებმა შეძლეს იმის შენარჩუნება, რისი დაკარგვაც ჩვენ გვაშინებს და არ გვინდა, როგორც ეს არ სურდათ (მაგალითად) უკვე ნახსენებ ესპანელებს და ესპანელებმა ყველა ის ფასეული ტრადიცია შეინარჩუნეს, რასაც მათი წინაპრები საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ. დღევანდელი ესპანეთიც ისევ ინარჩუნებს თავისი წარსულის უნიკალურ თვითმყოფადობას და იმ ფასეულობების გათავისებასაც ახერხებს, რასაც ეფუძნება კიდეც თანამედროვე ევროპული, დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფო.

საქართველოსთვის კი ევროპული არჩევანი ძველი, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროინდელი გზის გაგრძელებაა და ჩვენთვის სახლში დაბრუნებასაც ნიშნავს, მიუხედავად იმისა რომ შინ უკვე აღარავინ გველოდება...

**P.S. რაღაი დღეს უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ მოძმე ესპანეთი, აქვე იმ ცნობილ მოთხოვნასაც გავიხსენებ რომელიც ძველ ესპანელებსაც ჰქონდათ, სანამ ევროკავშირამდე მიაღწევდნენ.**

**ძველია, მაგრამ ისეთი მარტივი და გენიალური რომ ზოგჯერ მაინც ძალიან თანამედროვედ ჟღერს - პური და სამართალი!..**

# გუბე მთვარის შუქში

## საწყისი პოზიცია ფოტოხელოვნების დიდების გზაზე

თამარ კიკნაველიძე

ფოტოგრაფიას რამდენიმე ათწლეული დასჭირდა იმისათვის, რომ ხელოვნების დამოუკიდებელ დარგად წოდების უფლება მოეპოვებინა და საუკუნეზე მეტი "იბრძოლა", რათა ღირებულებით ფერწერასა და გრაფიკას გათანაბრებოდა.

ორი წლის წინათ, Sotheby s აუქციონზე ედვარდ შტაიჰენის (Edward Steichen) ფოტონამუშევარი, სახელწოდებით - "გუბე მთვარის შუქში", რეკორდულ თანხად - 2 928 000 დოლარად გაიყიდა და ფოტოგრაფიული ანაბეჭდიც, შეიძლება ითქვას, რომ პირველად "შეაფასეს" ცნობილი მხატვრის ნამუშევარის ღირებულების მსგავსად.

"გუბე მთვარის შუქში" ედვარდ შტაიჰენმა 1904 წლის შემოდგომაზე, ლონდ აილენდის (ნიუ იორკი) შორიახლოს გადაიღო. ახლა უკვე ცნობილია, რომ ნეგატივისგან ავტორმა სამი ანაბეჭდი გაკეთა, რომლებიც ერთმანეთისგან ტონალურობით განსხვავდებოდნენ. ორი წლის შემდეგ, შტაიჰენმა ერთ-ერთი მათგანი თავის მეგობარს - ჯონ ასპინვოლს 75 დოლარად მიჰყიდა. 1983 წელს კი, კომპანიამ - "Gilman Paper Company" სამივე ანაბეჭდის შეძენა მოახერხა და 2005 წლის მარტში მომგებიან ფასად მეტროპოლიტენ მუზეუმს მიჰყიდა. ამ ნამუშევრისთვის რეკორდული თანხა (თითქმის, სამი მილიონი დოლარი) Sotheby s აუქციონზე "PaceMacGill Gallery"-ს ხელმძღვანელმა პიტერ მაკგილმა დადო. ის წარმოადგენდა კერძო კოლექციონერს, რომლის ვინაობაც არ გახმაურებულა.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფოტოგრაფია ასახავს წყალსაცავს, რომელიც ხეებითაა გარშემორტყმული. ხის ვარჯებს შორის აღწევს მთვარის შუქი, რომელიც წყალში ირეკლება. ნამუშევრის მხატვრულობა ერთმანეთში მწყობრად გარდამავალი ტონების საშუალებითაა გადმოცემული, რაც ანაბეჭდზე ბიქრომატიული ფისის რამდენიმე წყების დადებით მიიღწევა. შედეგად, მივიღეთ მოლურჯომომწვანო ფერის ზმანება, რომელმაც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კერძო კოლექციონერის ყურადღება მიიპყრო.

ალსანიშნავია, რომ "გუბურა მთვარის შუქში" ამერიკელი ფოტოგრაფის ადრეული პერიოდის ნამუშევართა რიცხვს მიეკუთვნება. ამ პერიოდში ის პიქტორეალიზმით იყო გატაცებული და უპირატესობას პეიზაჟებსა და ლანდშაფტებს ანიჭებდა. მიუხედავად ამისა, დაოსტატების მოწიფულ ხანაში, სახელი მას სულ სხვა ჟანრმა - მოდურმა ფოტოგრაფიამ მოუტანა.



გასული საუკუნის 20-იან წლებში ჟურნალების - "Vogue" და "Vanite Fair" - მთავარი ფოტოგრაფის რანგში, ედვარდ შტაიჰენმა ჰოლივუდის ცნობილი სახეების ეპოქალური პორტრეტების გალერეა შექმნა. მათ შორის აღსანიშნავია, გრეტა გარბოს, მარლენ დიტრიხის, ჩარლი ჩაპლინის და სხვათა პორტრეტები. შტაიჰენი აშშ-ში ახალი სტილი - ფეშენფოტოგრაფია დააფუძნა, რომელიც დღემდე არსებობს. მისი გადაღების მანერაზე საუბრისას, თანამედროვეები "პოზირების" ნაცვლად, ხშირად, სიტყვა "შტაიჰენირებას" იყენებენ.

თუმცა, ოსტატი აღიარებდა, რომ რაც უფრო მეტს იღებდა, მით უფრო იმედგაცრუებული რჩებოდა ფოტოგრაფიით, ამიტომაც მან კავშირი გაწყვიტა ჟურნალებთან და მოღვაწეობის სფეროც პრინციპულად შეიცვალა.

და მაინც, ედვარდ შტაიჰენი ფოტოგრაფიის ისტორიაში კიდევ ერთხელ მაშინ შევიდა, როდესაც მსხვილი საერთაშორისო გამოფენების ორგანიზატორად მოგვევლინა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა გახლდათ "ადამიანთა მოდგმა" ("The Family of Man"), რომელიც ნიუ იორკში 1955 წელს გაიხსნა. ეს ექსპოზიცია 40 ქვეყანაში გამოიფინა, სადაც ის, დაახლოებით, ათმა მილიონმა ადამიანმა დაათვალიერა.

ედვარდ შტაიჰენმა სიცოცხლეში არაერთი რეკორდი დაამყარა და თითქმის, ერთი საუკუნე იცოცხლა. პორტრეტების ოსტატი 1973 წელს, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან მსოფლიოს უამრავი არაჩვეულებრივი კადრი აჩუქა.

მის ბიოგრაფიულ და შემოქმედებით მონაცემებს რაც შეეხება, ედვარდ შტაიჰენი 1879 წელს ლუქსემბურგში დაიბადა. მოგვიანებით, მისი ოჯახში საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. ბავშვობიდან ის სერიოზულად გახლდათ გატაცებული ფერწერით, მოგვინებით კი - ფოტოგრაფიით.

1900-იან წლებში, პირველი წარმატება ფოტოგრაფს ოგიუსტ როდენის პორტრეტმა მოუტანა, რომელიც მან "უდიდესი ადამიანების" ფოტოპორტრეტების სერიის ფარგლებში შექმნა.

1903 წელს შტაიჰენი მონაწილეობს მოძრაობის - "ფოტოდაშლა" ჩამოყალიბებაში და ასევე, ალფრედ სტიგლიცის ჟურნალის - "ფოტოგადაღება" გამოცემაში. 1905 წელს შტაიჰენმა სტიგლიცი დაარწმუნა მის ძველ სახლში შეექმნა "პატარა გალერეა "ფოტოდაშლა", რომელიც, მოგვიანებით, ცნობილ გალერეად - "გალერეა 291" იქცა. მოგვიანებით ამ გალერეაში ექსპონირებული იქნებიან ისეთი დიდი მხატვრები, როგორებიც იყვნენ: ტულუზ ლოტრეკი, რენუარი, მანე, სეზანი, მატისი, პიკასო, ბრანკუზი, რომლებთანაც ფოტოგრაფმა ნაცნობობა პარიზში ყოფნისას დაამყარა და მათი შემოქმედებით ამერიკის დაინტერესება გადაწყვიტა.

1917 წელს შტაიჰენმა მიიღო მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა, რომელიც ამერიკის სამხედრო ფლოტის ფოტოგრაფიულ აღჭურვილობას ითვალისწინებდა. საჰაერო სამხედრო ფოტოგრაფიის ტექნიკურმა შესაძლებლობებმა, სიზუსტემ და ობიექტურობამ, რაც სიმაღლეზე გადაღებებს ესაჭიროებოდა, ედვარდი რადიკალურად დააშორა პიქტორეალისტურ ესთეტიკას.

1922 წელს ნიუ იორკში ის დათანხმდა შემოთავაზებას გამხდარიყო ჟურნალების - "Vogue" და "Vanite Fair" მთავარი ფოტოგრაფი. ამ რანგში ის დაკავებული იყო არა მხოლოდ ცნობილი ადამიანების გადაღებით, არამედ სარეკლამო ფოტოგრაფიითაც. კოლეგების კრიტიკის მიუხედავად, შტაიჰენი იცავდა კომერციული და მხატვრული ფოტოგრაფიის თანაარსებობის იდეას. ის აღნიშნავდა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო საკუთარი შესაძლებლობების კომერციულ ფოტოგრაფიაში გამოხატვა, რამდენადაც თვლიდა, რომ თუ ის ვერ შეძლებდა ამის გაკეთებას, სინამდვილეში ის არაფრად ღირდა.

1938 წელს შტაიჰენი ტოვებს კომერციულ ფოტოგრაფიას და მიდის საკუთარ ფერმაში, რომელიც კონექტიკუტის შტატში მდებარეობს. მას გაიტაცებს ცხენების მოშენება და ყვავილების მოყვანა. მისი წყალობით ფლორისტიკა ხელოვნების სახეობად იქცა - მისი ინიციატივით, ისტორიაში პირველად, მუზეუმის კედლებზე ყვავილების გამოფენა მოეწყო.

1939 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, შტაიჰენს 60 წელი შეუსრულდა. თუმცა, ასაკის მიუხედავად, ის ცდილობდა მოხალისეთა რაზმში ჩაწერას, რაზეც მას უარი უთხრეს.

ცხოვრების უკანასკნელი წლები მან საკუთარ ფერმაში გაატარა, სადაც ის ყოველდღიურად, ნებისმიერ სეზონზე, მხოლოდ ერთსა და იმავე ხეს იღებდა.

# არანაირი კრიმინალი, უბრალოდ ისტორია

არქეოლოგებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთში, კარავაკა დე ლა კრუზის მუნიციპალიტეტში, მურსიას პროვინციაში ერთობ საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს. ახალი აღმოჩენების არტეფაქრები მალე მურსიას სახვითი ხელოვნების მუზეუმში გამოიფინება, მაგრამ მანამდე უნდა გავერკვეთ. აღმოჩენილია პრეისტორიული ხანის სამარხი...

მკვლევარები გვატყობინებენ, რომ აღმოჩენილ სამარხში ინახება 1300 ადამიანის ნეშტი. მათივე აზრით ეს ადამიანები დამარხულნი გახლდნენ ჩვენს ერამდე 2400 წლიდან 1950 წლამდე. ფიქრობენ, რომ ეს სამარხი გახლდათ იქვე ახლოს მცხოვრები გაერთაინების, ტომის სასაფლაო, დაახლოებით 400 წლის განმავლობაში.

დიდი იმედი აქვთ, რომ ახალი აღმოჩენა მეცნიერებაში დიდ წვლილს შეიტანს, რომ ესპანეთის ამ მდიდარი არქეოლოგიური მასალის წყალობით უფრო ღრმად გაეცნობიან პრეისტორიული ადამიანის დაავადებების, წეს-ჩვეულებების, ტრადიციებისა და განვითარების პროცესში.

სამარხის ნაშთებს ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროს მიაგნეს. მუშებმა გამოიძახეს პოლიცია და აცნობეს, რომ ტრაქტორები ადამიანთა ძვლებს გადაეყარნენ. ძვლების ანალიზის მეშვეობით დადგინდა, რომ ადამიანთა ჩონჩხის ნაშთები რამდენიმე ათასი წლისა იყო. ანუ საქმე არა კრიმინალთან, არამედ ისტორიასთან ჰქონდათ.

შეგახსენებთ, რომ უახლოეს წარსულში შედარებით გვიანი პერიოდის ნეკროპოლისი აღმოაჩინეს სიცილიაში, მაშინ, როცა არქეოლოგები ანტიკური პერიოდის შრეზე მუშაობდნენ. სიცილიაში არქეოლოგებმა დაახლოებით 10 ათასი ადამიანის ნეშტი აღმოაჩინეს. ეს დიდი სამარხი მთლიანად ქრისტეს შობამდე VI-V საუკუნეებს ეკუთვნის.

# ანას პარიზული დღეები

## 17 წლის ანა კოვაჩი სააგენტო "ელიტის" მოდელად იმუშავებს

ანა კოვაჩი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ მისი ცხოვრების პირველი დიდი თავგადასავალი უკვე დაიწყო. 3 თვის განმავლობაში მსოფლიოში ცნობილ Elite Model-ის მოდელად იმუშავებს, რაც უკვე მიანიშნებს, რომ ანას წინ წარმატებული კარიერა ელის. თუმცა წარმატებისთვის ჯერ კიდევ მოუწევს შრომა - საკუთარ თავზე მუშაობა, სხეულისა თუ სახის თვითოეული ნაკვთის დახვეწა. ანა ამისთვის მზადაა. იგი ჯერ კიდევ გუშინ "იმიჯ ცენტრის" ოფისში იყო, ახლა კი უკვე პარიზშია.





ანა კოვაჩის ცხოვრება შარშან 10 ოქტომბერს შეიცვალა, როდესაც თბილისში ჩატარებული ყოველწლიური Elite Model Look-ის კონკურსის გამარჯვებული გახდა. რამდენიმე ულამაზესი გოგონადან ჟიურიმ სწორედ ის ამოარჩია, ხოლო როდესაც თავისი სახელი გაიგონა, ვერ იჯერებდა, რომ საუკეთესო იყო. "ასეთ დროს ძნელია დაჯერება, რომ ჟიურის ყველაზე მეტად შენ მოეწონე, რადგან კონკურსში ძალიან ლამაზი და მოხდენილი გოგონები მონაწილეობდნენ. ამ დროს თავდაჯერებულობა იკლებს და გგონია, რომ არავიზე უკეთესი არ ხარ. თუმცა ჟიურიმ გამარჯვებულად მე დამასახელა, რამაც იმდენად გამახარა, რომ ემოციებისგან ხმას ვერ ვიღებდი", - იხსენებს პირველ წარმატებას ანა კოვაჩი.

Elite Model Look-ის კონკურსამდე ანას სამოდელო გამოცდილება არ ჰქონია, "იმიჯ ცენტრშიც" პირველად კასტინგზე მივიდა. მივიდა და დარჩა. დღეს ანა სააგენტოს ერთ-ერთ საუკეთესო და პერსპექტიულ მოდელად მიიჩნევა, თუმცა პოდიუმზე ჯერ არ გასულა. მიზეზი მარტივია - მას შემდეგ, რაც მოდელობა დაიწყო, გამუდმებით მოგზაურობს, მონაწილეობს გადაღებებში, სწავლობს ახალ პროფესიას. მაგალითად, დეკემბრის ბოლოს სტამბოლიდან დაბრუნდა, სადაც 4 კვირის განმავლობაში "იმიჯ ცენტრის" კიდევ ერთ მოდელ, Elite Model Look-ის შარშანდელ გამარჯვებულ თამთა შედანიასთან ერთად ჟურნალ All Magazine-ს გადაღებებში მონაწილეობდა. "ეს იყო უდიდესი გამოცდილება. ევროპული სტანდარტის სააგენტოში მუშაობა ერთდროულად რთულიც იყო და საინტერესოც. ძალიან უცნაური ფოტოები გადაგვიღეს, თავზე მძიმე პარიკები გვეკეთა, განსხვავებული მაკიაჟი გვქონდა", - ამბობს ანა.

თურქეთამდე კი ჩინეთი იყო - Elite Model Look-ის მსოფლიო ფინალი, რომელიც წელს 25-ედ გაიმართა და სხვადასხვა ქვეყნების შიდა კონკურსების გამარჯვებულ 80 მოდელს მასპინძლობდა. ანა კოვაჩი საუკეთესო 25 მოდელს შორის დაასახელეს, რაც ასეთი მასშტაბის კონკურსისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ფინალური კონკურსი 1 ნოემბერს გაიმართა. როგორც ანა იხსენებს, ეს იყო ულამაზესი შოუ, რომელიც სანახაობრივად და მუსიკალურად უმაღლეს დონეზე იყო გაფორმებული. კონკურში 15 წლის ბელგიელმა ლუის მასელისმა გაიმარჯვა.

საუკეთესო 25-ეულში გასული ყველა მოდელთან სააგენტო "ელიტმა" ხელშეკრულება გააფორმა, რაც სააგენტოს სახელით მუშაობას ითვალისწინებს. ანა კოვაჩი პარიზში 3 თვის განმავლობაში იმუშავებს. მისი თქმით, ეს უდიდესი შანსია, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებს, რათა კარიერაში წარმატების მისაღწევი პირველი ნაბიჯები გადადგას: "ვიცი, რომ დატვირთული სამუშაო გრაფიკი მექნება, ყოველ დღე კასტინგები და გადაღებებია დაგეგმილი, თუმცა ისიც ვიცი, რომ შრომის გარეშე ვერაფერს მივაღწევ. ძალიან მეხმარება ოჯახის მხარდაჭერა. ჩემი მშობლები და ძმები მენდობიან და იციან, რომ ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ამ თვეების განმავლობაში შევხვდები და გავიცნობ უამრავ ადამიანს, მათთან ურთიერთობა კი ბევრს შემმატებს. თანაც მსურს, მომავალში წარმატებული ფსიქოლოგი ვიყო, სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან კონტაქტი კი ამ მხრივაც მნიშვნელოვანი იქნება."

ანა ჯერ სკოლაში სწავლობს და კლასის ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ მიიჩნევა. ამიტომ პარიზში სახელმძღვანელოებიც მიაქვს - არ უნდა, სწავლაში ჩამორჩეს. ანას ძალიან უყვარს წიგნების კითხვა, ამჟამად ალექსანდრე დიუმას რომანებს ეცნობა, რის გამოც ორმაგად უხარია პარიზში გამგზავრება: "ვიცხოვრებ იმ გარემოში, სადაც ოდესღაც დიუმას პერსონაჟები ცხოვრობდნენ. ამის მეტი რა უნდა ვინატრო".

# ისევ ბილ ვიოლა და მისი ხატები

ლონდონის წმინდა პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარში სულ მალე თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები სამუდამოდ დამონტაჟდება. ამას მოწმოვს ახალი დაკვეთა, რომელიც ვიდეო-არტის ე.წ. მამას, ბილ ვიოლას მისცეს. კონკრეტულად საქმე ეხება ორ ვიდეო ინსტალაციას, რომელსაც ტაძარში დაამონტაჟებენ. უფრო სწორად, მსოფლიოში და რელიგიათა ისტორიაში პირველად, ტაძარში ვიდეო პროექციით წმინდანების გამოსახულებანი და მათთან დაკავშირებული ობიექტები ამოძრავდებიან.



*კადრი ვიდეოდან "მესიები"*

ორიდან ერთ-ერთი ვიდეოობიექტი ღვთისმშოველს უკავშირდება. მეორე ვნებათა ციკლს. სხვა დეტალები და ასევე ბილ ვიოლას პროექტის პრეზენტაციის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

ბილ ვიოლა თანამედროვე ვიზუალური კულტურის ერთ-ერთი დიდი პერსონაა. სიტყვა "დიდი" მის შემთხვევაში სულაც არ გახლავთ გადაჭარბებული შეფასება. ის უკვე კლასიკაა ვიდეოხელოვნებისა და მისი ნამუშევრები - ერთგვარი ხატებანი ამ მიმართულებაში. ბილ ვიოლამ ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ახალი მიმართულება მხატვრული ინტელექტით, ესტეტიკური კრიტერიუმებითა და ნოვაციებით გაამდიდრა. მისი დამსახურებაა, რომ ვიდეო-არტის ისტორიაში გამოკვეთილია მწვერვალი და მისკენ მიმავალი გზები. ბილ ვიოლა ითვლება ვიდეო-არტის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი მუზეუმში.

ბილ ვიოლას უკვე შექმნილი აქვს ვიდეოები რელიგიურ თემებზე. მაგალითად 1996 წელს მან ჩრდილოეთ ინგლისის ერთ-ერთ საკათედრო ტაძარში მოახდინა ვიდეონამუშევრის - "მესიები" პრეზენტაცია. პროექცია პირდაპირ ტაძარში მიმდინარეობდა, ეკრანი მიმაგრებული გახლდათ ტაძრის მეთორმეტე საუკუნის დასავლეთ კარზე. უკვე 2007 წელს მისი ნამუშევარი Ocean Without a Shore ნაჩვენები გახლდათ ვენეციის ვიზუალური ხელოვნების ბიენალეს ფარგლებში, მაშინაც ვენეციის ერთ-ერთ ეკლესიაში.

როგორც ხედავთ, თანამედროვე ხელოვნებისა დიდ ბრიტანეთში და საერთოდ, დასავლეთში არ ეშინიათ...



# აფიშა

### 22 იანვარი

**თეატრი**

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
ექსპერიმენტული სცენა
"კვერცხი"
რეჟისორი კოტე მირიანაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
პრემიერა
Romal
დასაწყისი: 19.00

**თეატრი სხვენში**
"ცხრაკლიტული"
დასაწყისი: 20.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**
"მწყემსი გოგონა და ბუხრის მწმენდავი"
დასაწყისი: 17.00

**"თეატრალური სარდაფი"**
"მე ვხედავ მზეს"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"5 დღე უმუშევარი მსახიობის ცხოვრებიდან"
დასაწყისი: 20.00

**სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი**
"ეწერში მდგარი ხმელა"
დასაწყისი: 18.00

**კინო**

**"ამირანი"**
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"პატარძლების ომი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 16.45; 18.30; 20.30; 22.15;
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 13.30;

**"რუსთაველი"**
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამიწა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 13.45; 15.45; 17.45; 19.45; 21.45
"არწივის თვალი"
დასაწყისი: 12.45; 15.15; 17.30; 20.00; 22.15
"ავსტრალია"
დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30

**გალერეა**

**"ქარვასლა"**
ირაკლი გოგიას გამოფენა
ხეზე ნაკვეთი კომპოზიციები

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

**"შარდენი"**
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
ფელიქს ვარლამიშვილის (1903-1986) გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა კერძო კოლექციებიდან

**N გალერეა**
სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა

**"არსი"**
ლადო ფოჩხუას პერსონალური გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
გიორგი გაგოშიძის გამოფენა
"აბასთუმანი, აბასთუმანი..."

## დღეს ამერიკული კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე ნომინანტთა ვინაობა გაირკვევა

კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე წარდგენილ ნომინანტთა სიას დღეს კინოაკადემიის პრეზიდენტი სიდომ გეინისომი ოსკარის მფლობელ მსახიობთან, ფორესტ უიტაკერთან ერთად გაახმოვანებს. ამის შესახებ აკადემიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ პრეს-რელიზშია საუბარი.

ნომინანტების გამოცხადების ცერემონიალი სემუელ გოლდუინის სახელობის თეატრში, ბევერლი - ჰილსზე დღეს, 22 იანვარს გაიმართება. ცერემონიალს ასობით ჟურნალისტი დაესწრება. ნომინატების დასახელების პროცესს კი ABABC გააშუქებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქარვასლა მხატვარ ირაკლი გოგიას პერსონალურ გამოფენას უმასპინძლებს

დღეს, 22 დეკემბერს თბილისის ისტორიის მუზეუმში მხატვარ ირაკლი გოგიას პერსონალური გამოფენა გაიხსნება.

ირაკლი გოგიას ნამუშევრები იშვიათ შთაბეჭდილებას ტოვებს როგორც სივრცობრივი, ასევე ბარელიეფური ფორმის თვითმყოფადობის თვალსაზრისით. მისი შემოქმედება ტრადიციული და ამავე დროს ნოვატორულიცაა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

თავისთავად ხეზე კვეთის ტექნოლოგია რთული და იშვიათი მოვლენაა თანამედროვე ხელოვნებაში. მხატვარი 15 წლის განმავლობაში მუშაობდა მოსკოვში ზურაბ წერეთლის სახელოსნოში. გარდა ამისა მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში, სადაც უშუალოდ ხეზე კვეთის ნიმუშები იყო გამოფენილი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მასიურ ხეზე ჭრაში შესრულებული ბარელიეფური პანოები (დამუშავებული ნატურალური ფიჭით) სიუჟეტური მრავალფეროვნებით: ძველი თბილისის მოტივები, ხალხური დღესასწაულები, ღვინისა და ვაზის კულტურის თემატიკა, ხატები, ტრიპტიხები, წმინდანთა ქანდაკებები და სხვა. **მედიანიუსი**

## ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე სტივენ ბადი იქნება

ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუსიკალური პროდიუსერი იქნება. სტივენ ბადიმ თბილისში ჩამოსვლაზე თანხმობა უკვე განაცხადა.

ევროვიზიის შიდასერსარჩევი კონკურსის შესახებ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 16 იანვარს გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ მომღერალს, რომელიც ჯერ არ გაჟღერებულ სიმღერას წარმოადგენს. მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. შემსრულებელს შეუძლია სიმღერა ქართულ ან ინგლისურ ენებზე წარმოადგინოს. კონკურსზე შემოსულ სიმღერებს კომპეტენტური ჟიური განიხილავს და შიდაშესარჩევ კონკურსზე საუკეთესოებს დაუშვებს. შეგახსენებთ, რომ ევროვიზიის კონცერტი წელს მოსკოვში, 12, 14 და 16 მაისს გაიმართება, სადაც რეკორდულად ბევრი, 43 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

სტივენ ბადი ხელმძღვანელობს ბრიტანულ საპროდიუსერო კომპანია "STEVEN BUDD MANAGEMENT". ამ კომპანიაში გაერთიანებულია 30-მდე მუსიკალური პროდიუსერი, რომლებიც, თავის მხრივ, პროდიუსირებას უწევენ ისეთ ცნობილ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან: მადონა, კაილი მინოუგი, დაიდო, ბიორკი, მეიშა გრეი, Black Eyed Peas, U2, ეიმი ვაინჰაუსი, Depeche Mode, Massive Attack, The Pet Shop Boys, რობი ვილიამსი, პიტერ გაბრიელი, გვენ სტეფანი, დევიდ ბოუი, ჯგუფი როლინგ სტოუნსი და ა.შ.

სტივენ ბადიმ თავისი კომპანია რამდენიმე წლის წინ დააარსა. კომპანია გამუდმებით ეძებს ახალ შემსრულებლებს და სახეებს. საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის დიდი პატივია ასეთი მნიშვნელობის პროდიუსერის ჩართვა ევროვიზიის კონკურსში.

7 თებერვალს სრულდება შიდაშესარჩევი კონკურსისთვის განაცხადების შემოტანა. თებერვლის შუა რიცხვებისთვის კი გაიმართება გალა კონცერტი. **მედიანიუსი**

## მადონა ზარალის ანაზღაურებას ითხოვს

მომღერალი მადონა გაზეთ The Mail on Sunday -ს უჩივის, რომელმაც მადონას და რეჟისორ გაი რიჩის 2000 წლის ქორწილის ფოტოები დაბეჭდა. მომღერალი ზარალის ასანაზღაურებლად ხუთ მილიონ ევროს ითხოვს.

როგორც ლონდონის მოსამართლემ გაარკვია, სურათები ინტერიერის დიზაინერმა მუშაობის დროს ფარულად გადაიღო კალიფორნიაში.

სასამართლომ მადონას სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, მას შემდეგ რაც გაზეთმა აღიარა რომ დაარღვია მომღერლის პირადი უფლებები გაზეთმა The Mail on Sunday ქორწილის 11 ფოტო ამ წლის 19 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა. მადონას ადვოკატის მათეუ ნიკლინის თქმით, გაზეთი საერთოდ არ ცდილობს თავი გაიმართლოს ჩადენილი საქციელის გამო. მისივე განცხადებით მომღერალი ძლიერ შეურაცხყოფილია იმით, რომ გაზეთმა ფოტოები მისი წინასწარი გაფრთხილების გარეშე დაბეჭდა. გაზეთმა 5000 ევრო გადაიხადა მადონას ქორწილის ფოტოებში, რომელიც 2000 წლის 22 დეკემბერს შოტლანდიაში სკიბოს სასახლეში ჩატარდა.

მადონა სულ ცოტა ხანია რაც გაი რიჩს გაშორდა. მომღერალს იმედი აქვს რომ სასამართლო ზარალის სანაცვლოდ გაზეთს ხუთ მილიონ ევროს დააკისრებს. პროცესი რომელიც ზარალის საფასურს დაადგენს სავარაუდოდ მომავალ წელს უმაღლეს სასამართლოში შედგება.

# ელექტროგანტვირთვა ღამის თბილისში

ნინო მამარდაშვილი

ფრენა ჯერჯერობით ადამიანის განუხორციელებელი სურვილია. "ჰაერში აწევა", რელაქსაცია, რეალობისგან მოწყვეტა კი შესაძლებელი. იქ სადაც მხოლოდ მუსიკის ჰანგები ისმის, თავისუფალი ხარ, კომპლექსები არ არსებობს და თითქოს მიცურავ ფერად სხივებში... ასოციაცია - სამოთხე! და კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ყველა ადამიანს აქვს ემოციონალურად მდიდარი და არაყოველდღიური შეგრძნებების განცდის დაუოკებელი მოთხოვნილება.



მაშინ, როდესაც კაცობრიობა განვითარების საწყის ეტაპზე იყო და ადამი და ევას შთამომავლობის სამოსს ფოთლები წარმოადგენდნენ, ადამიანები ცეცხლის გარშემო იკრიბებოდნენ და ერთად შეკრულები იწყებდნენ, ხტუნვას, მოძრაობას, ხმების გამოცემას, იგონებდნენ ბგერათაწყობებს, რომლებსაც მუსიკის თანხლებით იმეორებდნენ, რომ მიეღწიათ გარკვეული ფიზიკური და სულიერი მდგომარეობისათვის. მაშინ იწყებოდა სულისა და სხეულის ცეკვა ბედნიერებისაკენ.

იქამდე, სანამ ფროიდი ქვეცნობიერს შეისწავლიდა და სანამ ამ ყველაფრის მიღწევის საშუალებას პატარა ფერად აბებში (ექსტაზში) ჩაატევდნენ, იყვნენ შამანები და მათ კარგად იცოდნენ როგორ ჩაეგდოთ ადამიანები ტრანსში. სანამ 21-ე საუკუნის ადამიანი განტვირთვას ელექტრო მუსიკის თანხლებით ალკოჰოლით, ან მსუბუქი ნარკოტიკით გაბრუებული მოახდენდა, ჩვენ ვცეკვავდით და ვხტოდით ჯოგში და დღემდე გვინდა, გვიყვარს და გვაერთიანებს ჯოგი.

ხო, ეს ყველაფერი უკვე იყო, მაგრამ მაინც... 1920 წელს, შეერთებული შტატების კონსტიტუციაში შეიტანეს მუხლი, რომელიც კრძალავდა ალკოჰოლის გაყიდვა-მოხმარებას, ტრანსპორტირებასა და წარმოებას. ბარებმა, რესტორნებმა და თავშეყრის სხვა ადგილებმა, სადაც მუსიკის თანხლებით თავისუფალი საუბარი და ალოკოჰოლის მიღება შეიძლებოდა, მიწის ქვეშ გადაინაცვლეს. არალეგალურად მომუშავე ღამის გასართობი დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად ელიტისა და საზოგადოების მაღალი ფენისათვის იყო ხელმისაწვდომი და სადაც დიდი ფულის კეთება დაიწყო, პოლიციის შემოტევებს ქრთამებით უმკლავდებოდნენ. ასე, ნელ-ნელა და ჩუმ-ჩუმად იწყებდა განვითარებას ღამის ცხოვრება (Night Life) ჩვენს თანამედროვე პლანეტაზე.

ღამის კლუბური მუსიკისა და დჯ-კულტურის დამკვიდრებაში მთავარი როლი ითამაშეს შტატებისა და ევროპის სხვადასხვა დიდმა ქალაქებმა. ესენია: ლივერპული, მანჩესტერი, ლონდონი, პარიზი, ბერლინი, იბიცა, რიმინი. ისინი დღესაც კლუბური კულტურის ცენტრად რჩებიან.

1933 წლიდან, როდესაც ყველანაირი აკრძალვა მოიხსნა, ნიუ იორკსა და პარიზში ყველაზე პოპულარულად ითვლებოდა რამდენიმე ღამის კლუბი: Stork club, El Maroco, Copacabana, Cotton Club, Connie's Inn.

ერთხელ, პარიზის კლუბ Whisky ∉ Gogo-ში, "ღამის დედოფლად" წოდებულმა მომღერალმა, რეჯინი ზილბერბერგმა, საცეკვაო ადგილად კლუბის იატაკი აქცია. გააკეთა განათებები, დადგა დინამიკები და 2 მუსიკის დასარეგულირებელი მაგიდა, რითმებს შორის შესვენება რომ არ ყოფილიყო. სწორედ ამ მცდელობამ დაამკვიდრა თანამედროვე კლუბის სტანდარტები.

დაიწყო სისტემატიური დისკოთეკები, დახურული "ივენთები". დიჯეები მთელი ღამის განმავლობაში დისკოს უკრავდნენ სტუმრები კი შეუსვენებლივ ცეკვავდნენ. აქვე გადმოინაცვლა მოდის ჩვენებებმაც, თუმცა მოდის ელემენტებისა და მუსიკის ახალი მიმდინარეობების გარდა განვითარდა რეკრეაციული ნარკოტიკების სუბკულტურაც. კლუბებში იყიდება სხვადასხვა სახის და დანიშნულების ნარკოტიკი, რომლებიც აძლიერებენ ცეკვის, მოძრაობისა და ენერგიის დახარჯვის სურვილს. აძლიერებენ აღქმისა და მგრძნობელობის ხარისხსს, რისი ზემოქმედებაც თავისთავად მუსიკით მძაფრდება.

ბევრი ტრანსფორმაცია და ცვლილება-დახვეწის ეტაპი გაიარა თუ არა ამ ყველაფერმა, საბოლოოდ ჩვენამდეც მოაღწია. კლუბურმა გართობამ ყველაზე პირდაპირი და ხმამაღალი გზით პროპაგანდა რეალითი შოუ "ჯეო-ბარით" დაიწყო. საზოგადოების ნაწილი პანიკამ მოიცვა. ფეხზე დადგა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და სხვა ორგანიზაციები. შოუს წინააღმდეგ მინი-მიტინგებიც კი მოეწყო, მაგრამ ყველაფერი ამაოდ. საზოგადოებამაც მალე დასძლია აღშფოთება და თბილისური ღამის ცხოვრებაც დაიწყო...

პირველ ღამის კლუბ "აჭარა მიუზიქ ჰოლს" მეორე "Night Office" მოჰყვა, მეორეს, მესამე და დღეს ტრადიციული "შარდენ-პეროვის" ძირითად შემადგენლობას ღამის კლუბები წარმოადგენენ.

"საქართველოში ჯერჯერობით არ არის ისეთი დონის გართობის კულტურა, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენთან თანდათან უფრო პოპულარული ხდება ღამის ცხოვრება და იმედია ნელ-ნელა დაიხვეწება. მართალია, ბევრი ახლა იწყებს გარკვევას კლუბურ მუსიკაში და მის მიმდინარეობებში, მაგრამ უკვე არის გარკვეული რაოდენობის მსმენელი, რომელიც თვითონ წყვეტს რა მოსწონს და რას მოუსმინოს"- გიორგი შენგელია.

გიორგი შენგელია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული DJ-ია საქართველოში. მას შემდეგ, რაც მოისმინა Danny Howells, Deep Dish, JohnDigweed, Sasha, Steve Lawler, Dj Pippi-ს სეტები, სერიოზულად დაინტერესდა ელექტრონული მუსიკით. წარმატებას მიაღწია საზღვარგარეთაც. შესაძლებლობა ჰქონდა დაეკრა Desyn Masiello, Luke Fair, Rowan Blades, Paolo Mojo, Spiller, Fafa Monteco, King Unique, Linus, Yves Eaux-თან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ელექტრონულ მუსიკაში ვერ გარკვეულა, უმეტესობამ DJ -ობა უფრო მალე აითვისა და შეიძლება ითქვას რომ მათი რაოდენობა ამ მიმდინარეობის მსმენელთა რაოდენობას არც ჩამოუვარდება. ქართველი მსმენელი საკმაოდ პრეტენზიულობით გამოირჩევა. მართალია, კლუბის დღეებად ქცეულ პარასკევ-შაბათ-კვირას ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ღამეებს კლუბებში ატარებს, მაგრამ ისინი უკმაყოფილონი არიან... ანშლაგით მხოლოდ საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი DJ-ეების საღამოები სარგებლობს. თუმცა ჯერ ყველაფერი წინ არის. ნიჭიერი მუსიკოსები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ანათებენ. ჩვენ, ქართველებს ხომ ყველაფრის ნიჭი გვაქვს.

# ლუვრის ქონებისთვის 18 ბანკი იბრძოლებს

შვეიცარიის ბანკი UBS, ამერიკული JPMorgan Chase და კიდევ 16 ფინანსური ორგანიზაცია, ფრანგული ლუვრის მიერ შექმნილი შესაწირი ფონდის (endowment fund) მართვის შესაძლებლობაზე იბრძოლებენ. აბუ-დაბიში ლუვრის ფილიალის შესაქმნელად, ემირატების მთავრობა შექმნილ ფონდში თანხებს გადარიცხავს. თებერვალში ფონდში 175 მილიონი ევრო (230 მილიონი დოლარი) გადაირიცხება. როგორც მოსალოდნელია, 2009-2027 წლების განმავლობაში ფონდის ანგარიშზე კიდევ 250 მილიონი ევრო იქნება დარიცხული. თანხა, რომელსაც ლუვრი 2009 წლის თებერვალში ფონდს გადაურიცხავს, ექსპონატების დამატებითი საცავის მშენებლობას, ანტიკური საბერძნეთისა და ანტიკური რომის ხელოვნების განახლებასა და ახალი საგამოფენო დარბაზის მშენებლობას მოხმარდება.



პარიზის ლუვრმა 2007 წლის მარტში ემირატების მთავრობას მიჰყიდა უფლება, რომ აბუ-დაბიში მდებარე მომავალ მუზეუმში საკუთარი სახელწოდებით ისარგებლოს. გარიგების ფასმა დაახლოებით 400 მილიონი ევრო შეადგინა. სწორედ ამიტომ, ფილიალის მშენებლობის ფასი მილიარდ ევროდაა შეფასებული. როგორც მოსალოდნელია, ფილიალის მშენებლობა 2012 წელს დასრულდება.

ლუვრი მსოფლიოს მხატვრულ მუზეუმებს შორის მესამე ადგილზეა, ხოლო მნახველთა თვალსაზრისით პარიზის მუზეუმს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია - 2008 წელს მუზეუმს 8,5 მილიონი ადამიანი ესტუმრა.

შესაწირი ფონდი მუზეუმებში ხელსაყრელი კაპიტალის დაბანდებისთვის შეიქმნება, რომელსაც იგი შესაწირისა და მნახველთა მიერ გადახდილი თანხის სახით მიიღებს. აღნიშნული სქემის გამოყენებას ისინი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პერსპექტივებისთვის გეგმავენ.

# სპორტი

## ტრაპატონი ირლანდიას საომრად ამზადებს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს და ირლანდიის ეროვნული ნაკრები გუნდები ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ადრე, 11 თებერვალს იწყებენ ოფიციალურ შესარჩევ სეზონს. ფიფას კალენდარში ეს თარიღი ამხანაგური მატჩებისთვისაა განკუთვნილი. ამ დღეს მხოლოდ ერთი საკვალიფიკაციო მატჩი გაიმართება, რომელშიც ირლანდია ჩვენ გვიმასპინძლებს. შეხვედრა დუბლინის "კროუკ პარკზე" ჩატარდება და თბილისის დროით 23 საათსა და 45 წუთზე დაიწყება. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, არგენტინელ ექტორ რაულ კუპერს ჯერჯერობით იმ ფეხბურთელთა გაფართოებული შემადგენლობაც კი არ დაუსახელებია, რომელთაგან 18-კაციან საგანაცხადო შემადგენლობას ამოირჩევს. სამაგიეროდ მასპინძელთა იტალიელმა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ უკვე საყოველთაო გახადა იმ 25 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც საქართველოსთან მატჩისთვის მოემზადებიან. გასაკვირი არ არის, რომ იმ ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებზეც სინიორ "ტრაპიმ" შეაჩერა არჩევანი, ინგლისის სხვადასხვა ლიგებში გამოდის. ასეთი ფეხბურთელი ამჯერად ოცდასამია, ხოლო თითო ფეხბურთელი ტრაპატონიმ ესპანეთისა და შოტლანდიის ლიგებიდან მიიწვია.



ჯოვანი ტრაპატონი: ჩვენ ურთულესი მატჩი გველის

საქართველოსა და ირლანდიას შორის პირველი, წესით, ჩვენთვის საშინაო შეხვედრა გასული წლის სექტემბერში გაიმართა. იმ დროს საქართველოში არსებული დაძაბული ვითარების გამო ფიფამ მატჩის თბილისში ჩატარების უფლება არ მოგვცა და შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე, გერმანიის ქალაქ მაინცში გაიმართა. ირლანდიელებმა მინიმალური უპირატესობით - 2:1 გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრებიდან ერთადერთი საპასუხო გოლი ლევან ყენიამ გაიტანა. თუ კიდევ უფრო უკან დავიხევთ, იმის გახსენებაც შეიძლება, რომ 4 წლის წინა საკვალიფიკაციო ციკლშიც შევხვდით ირლანდიას და, როგორც საკუთარ კედლებში, ისე დუბლინში დავმარცხდით. ასე რომ, დიდი საბაბი გვაქვს რევანშისთვის. თუმცა, ტრაპატონი იმედოვნებს, რომ ამჯერადაც მისი გუნდი გაიმარჯვებს და ირლანდია ჯგუფის ლიდერებში პოზიციას შეინარჩუნებს.

"წლის პირველ შეხვედრაში გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველო რთული მეტოქეა, თუმცა ჩვენ საკუთარი ძალების და ქომაგების იმედი გვაქვს, რომელთაგან სრულ მხარდაჭერას ველით. გამარჯვების შემთხვევაში 10 ქულას დავაგროვებთ და იტალიას გავუთანაბრდებით, რაც თავდაჯერებულობას შეგვმატებს. მჯერა, რომ ფეხბურთელები იმავე მოტივაციით დამიბრუნდებიან, რაც ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში პოლონეთთან ჰქონდათ. თუ ასე არ მოხდა, ჩვენს მიერ გაწეული ნახევარწლიანი სამუშაო წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება", - განუცხადა ტრაპატონიმ ირლანდიურ მედიას.

პოლონეთთან შეხვედრაში ირლანდიამ მინიმალური სხვაობით - 2:3 წააგო, თუმცა, ამის მიუხედავად, ტრაპატონი თავისი შეგირდების გარჯით კმაყოფილი დარჩა. მან განსაკუთრებით გამოყო ინგლისის "ჰალის" ფორვარდის კალებ ფოლანის გარჯა.

იტალიელ სპეციალისტს არც ის ავიწყდება, რომ სექტემბერში, როცა მისმა გუნდმა "ხუთჯვაროსნები" დაამარცხა, კუპერს საქართველოს ნაკრები ახალი ჩაბარებული ჰყავდა.

"ეჭვგარეშეა, საქართველოს ნაკრებში ბევრი რამ შეიცვლებოდა. კუპერი თავის ფეხბურთელებს უკეთ გაიცნობდა და მათი შესაძლებლობებიც უკეთ ეცოდინება. საქართველო-ბულგარეთის მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე და შემიძლია ვთქვა, რომ ქართველებმა ამჯერად გაცილებით უკეთესად, თან განსხვავებული სტილით ითამაშეს. ჩვენ ურთულესი მატჩი გველის და ამისთვის უნდა მოვემზადოთ", - თქვა ტრაპატონიმ.

გთავაზობთ ირლანდიის ნაკრების შემადგენლობას:

**მეკარეები:** შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კილი (ვესტ ბრომვიჩ ალბიონი, ინგლისი), კირენ ვესტვუდი (ქოვენთრი, ინგლისი)

**მცველები:** ალექს ბრუსი (იფსვიჩი), დანიელ დელვინი (ქუინზ პარკ რეინჯერსი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), კევინ ფოლი (ვულვზი, ინგლისი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი, ინგლისი), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სტივენ კელი (ბირმინგემი, ინგლისი), სტივ ფინანი (ესპანიოლი, ესპანეთი), კევინ კილბეინი (ჰალი, ინგლისი).

**ნახევარმცველები:** აიდენ მაკგიდი (სელტიკი, შოტლანდია), დამიენ დაფი (ნიუკასლი, ინგლისი), დერონ გიბსონი (მანჩესტერ იუნაიტედი), გლენ უილანი (სტოკი, ინგლისი), კეიტ ენდრიუსი (ბლექბერნი, ინგლისი), ლიამ მილერი (ქუინზ პარკ რეინჯერსი), სტივენ ჰანტი (რედინგი, ინგლისი), ენდი კეოგი (ვულვზი, ინგლისი).

**თავდამსხმელები:** კალენ ფოლანი (ჰალი, ინგლისი), კევინ დოილი (რედინგი, ინგლისი), რობი კინი (ლივერპული, ინგლისი), შეინ ლონგი (რედინგი, ინგლისი), ნოელ ჰანტი (რედინგი, ინგლისი).

## უეფამ წლის გუნდი დაასახელა

გუშინწინ ფიფამ 2008 წლის სიმბოლური ნაკრები დაასახელა, გუშინ კი უეფას რჩეული ნაკრების ვინაობა გახდა ცნობილი.

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე თვეზე მეტია მიმდინარეობს გულშემატკივართა გამოკითხვა 2008 წლის სიმბოლური ნაკრების გამოსავლენად. ამ გამოკითხვაში საიტის 256 000-მდე მომხმარებელმა მიიღო მონაწილეობა და საუკეთესოთა სიაც გამოვლინდა.

სიმბოლურ ნაკრებში ესპანელი ფეხბურთელები დომინირებენ, მთლიანად ესპანურ პრიმერაში მოთამაშე ფეხბურთელებმა კი სიმბოლურ ნაკრებში სოლიდური წარმომადგენლობა მოიპოვეს.

ჩემპიონთა ლიგის მომგები "მანჩესტერ იუნაიტედიდან" სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ კრიშტიანუ რონალდუ მოხვდა, თუმცა მანკუნიანელთა ფანებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან ამ ვირტუალური ნაკრების მწვრთნელად გულშემატკივარმა სწორედ "მანჩესტერის" თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი დაასახელა. გუნდის კაპიტანი კი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული ხავი აღმოჩნდა.

უეფას ვებგვერდის მომხმარებელთა სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

იკერ კასილასი (რეალი, ესპანეთი), სერხიო რამოსი (რეალი, ესპანეთი), ჯონ ტერი (ჩელსი, ინგლისი), კარლეს პუიოლი (ბარსელონა, ესპანეთი), ფილიპ ლამი (ბაიერნი, გერმანია), კრიშტიანუ რონალდუ (მანჩესტერი, პორტუგალია), ხავი (ბარსელონა, ესპანეთი), სესკ ფაბრეგასი (არსენალი, ინგლისი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, საფრანგეთი), ლიონელ მესი (ბარსელონა, არგენტინა), ფერნანდო ტორესი (ლივერპული, ესპანეთი)

მთავარი მწვრთნელი: სერ ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერი, შოტლანდია)

ფიფას და უეფას ვერსიაში არც ისე დიდი განსხვავებაა. ფიფამ სიმბოლურ ნაკრებში სტივ ჯერარდი და კაკაც მოახვედრა, უეფას ვერსიაში კი მათ ნაცვლად ფაბრეგასი და ტორესი აღმოჩნდნენ.

### "ბორჯღალოსნები" 1 თებერვლიდან საფრანგეთში შეიკრიბებიან

7 თებერვალს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები "ერთა თასის" გათამაშების პირველ მატჩს გამართავს ჰაიდელბერგში გერმანიის ეროვნულ ნაკრებთან. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი და ფიტნეს მწვრთნელი ჯონი ნამუ 28 იანვარს საღამოს ჩამოდიან თბილისში, სადაც სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ. დასახელდება ეროვნული ნაკრების ის შემადგენლობა, რომელიც 7 თებერვალს გერმანიაში და 14 თებერვალს თბილისში პორტუგალიის ნაკრებთან იასპარეზებს. ჩვენი ნაკრები შეკრებას საფრანგეთში, სარაგბო კლუბ "მასის" ბაზაზე 1 თებერვლიდან გაივლის, სადაც საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეები ფრანგ ლეგიონერებს შეუერთდებიან. რაგბის კავშირის პრეზიდენტის გია ნიჟარაძის ინფორმაციით, ტიმ ლეინი ფულბეკის პოზიციაზე კრასნოიარსკის "კრასნი იარის" მოთამაშის თემურ სოხაძის გამოცდას აპირებს. ეს საკითხი საბოლოოდ იანვრის ბოლოს, ნაკრების მწვრთნელების თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გადაწყდება. გერმანიის ნაკრები გასული წლების შედეგებით ქვედა დივიზიონიდან ამოვიდა. ამ გუნდმა უკვე გამართა "ერთა თასის" ერთი მატჩი ესპანელებთან, როცა, მარცხის (11:22) მიუხედავად, მწვავე ბრძოლა გაუმართა აპენინელ "იბერიელებს". საქართველოს ეროვნული ნაკრები გერმანელებს ერთხელ უკვე შეხვდა. 1995 წელს თბილისში გამართული მატჩი ჩვენმა ნაკრებმა 14:3 მოიგო. ევროპის "ერთა თასის" გათამაშების შეხვედრისთვის მასპინძლებმა აქედანვე დაიჭირეს თადარიგი. ჰაიდელბერგის არენა 5 ათას გულშემატკივარს იტევს, რომელიც, სარწმუნო მონაცემებით, არასოდეს გავსებულა. თუმცა ვარაუდობენ, რომ საქართველოს ნაკრების სტუმრობა ამ ტრადიციას დაარღვევს, რადგან ადგილობრივი გუნდიდან გერმანიის ნაკრებში 11 მორაგბეა მიწვეული. საგულისხმოა ისიც, რომ გერმანელებმა უკვე დაბეჭდეს მატჩის ბილეთები, რომელიც 8-დან 12 ევრომდე ღირს.

### ვეტერინარებმა სპარინგი დაგეგმეს

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ოთხი ამხანაგური მატჩი დაგეგმა. "ვეტერინართა" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, თბილისელები პირველ მატჩს 23 იანვარს რუმინეთის "პანდურთან" ჩაატარებენ, ორი დღის შემდეგ ყაზახეთის "ვოსტოკს" ეთამაშებიან, 28 იანვარს ნესტორ მუმლაძის შეგირდები რუმინულ "სპორტულს" დაუპირისპირდებიან, ხოლო 31 იანვარს ქართველთა მეტოქე რუსეთის "ტომსკი" იქნება.

### ბურდულმა "დუბლი" მიითვალა

სიმფეროპოლის "ტავრიას" ქართველმა ლეგიონერმა ლადო ბურდულმა ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში უკრაინულ კლუბში ჩატარებულ პირველ ამხანაგურ მატჩში ლუცკის "ვოლინის" წინააღმდეგ "დუბლი" შეასრულა. განვლილ შეხვედრაში, რომელიც სიმფეროპოლელებმა 3:1 მოიგეს, ბურდულმა პირველი გოლი 52-ე წუთზე გაიტანა. მეორედ კი ქართველმა ნახევარმცველმა თავი გამოიჩინა 83-ე წუთზე, როდესაც ბურთი თითქმის ცარიელ კარში შეაგორა. ბურდული საკუთარი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო და სრულად ითამაშა.

### გვარდიოლა ეტო ოს შემოსწყრა

სამშაბათს ესპანეთის "ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტო ო ვარჯიშიდან დროზე ადრე დაითხოვა. კატალონიელთა თავკაცმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც დაინახა, რომ კამერუნელი უგულოდ ვარჯიშობდა და ემოციებსაც ხმამაღლა გამოხატავდა. გვარდიოლამ ეტო ოს რამდენიმე შენიშვნა მისცა და როდესაც ვერაფერს გახდა, გასახდელისკენ მიუთითა. ეტო ო მწვრთნელის მითითებას დაემორჩილა, მაგრამ გაბრაზებულმა დატოვა მოედანი და ამის დამალვა არც უცდია.

### "მანჩესტერი" სპონსორის გარეშე დარჩა

ამერიკული სადაზღვევო კომპანია AIG-ი ინგლისის პრემიერლიგის მოქმედ ჩემპიონთან და გასული წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. ამჟამად AIG-ი მანჩესტერელთა სატიტულო სპონსორია და კომპანიის ლოგოტიპი გუნდის მაისურზეა გამოსახული. ინგლისურ კლუბთან კონტრაქტი ამერიკელებს 2010 წლამდე აკავშირებთ.

### ბუფონმა "იუვე" დააავადა

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა სერია A-ს მე-19 ტურის მატჩი რომის "ლაციოს" წინააღმდეგ გრიპის ვირუსის მიზეზით გამოტოვა. ეს ვირუსი მან რამდენიმე თანაგუნდელსაც გადასდო და მომდევნო ტურში, "ფიორენტინასთან" გასამართ მატჩში, ტურინელებს შემადგენლობის მხრივ გარკვეული პრობლემები ექნებათ.

კერძოდ, შეუძლოდ არიან გუნდის მეორე და მესამე მეკარე ალექს მანინგერი და ანტონიო კიმენტი. გარდა ამისა, გრიპის სიმპტომები აქვთ ნახევარმცველ ტიაგუ მენდეშს და მცველ ოლაფ მელბერგს.

### "ბოლონიას" ოსვალდო გააძლიერებს

ჯამპაოლო პაცინის შემდეგ "ფიორენტინა" კიდევ ერთმა ფორვარდმა დატოვა - არგენტინული წარმომავლობის მქონე 23 წლის პაბლო დანიელ ოსვალდო "ბოლონიაში" გადავიდა. გარიგების ნიუანსები ჯერჯერობით არ ხმაურდება. ახალი გუნდის გულშემატკივრებს კი მას დღეს წარუდგენენ.

ოსვალდო "ფიორენტინაში" 2007 წელს "ლეჩედან" გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში მან 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ყოველთვის ვიღაცას ცვლიდა, პირად ანგარიშზე კი ერთი გოლიც არ ჩაუწერია.

### რონალდო დებიუტისთვის ემზადება

სულ მალე ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი "კორინთიანსი" სან-პაულუს შტატის ჩემპიონატში ასპარეზობას დაიწყებს, თუმცა გუნდს დასაწყისში რონალდო ვერ დაეხმარება.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი თამაშისთვის ჯერაც არ არის მზად. ამიტომ "კორინთიანსის" ბოლო ამხანაგურმა მატჩებმაც მის გარეშე ჩაიარა.

"წინასწარმეტყველება საჭირო არ არის. მოედანზე ზედმეტი წონითა და დამძიმებული ფეხებით გასვლა არ მინდა. საქმე კარგად მიდის. ასე რომ, მალე ჩემი დებიუტი შედგება", - განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ბრაზილიური კლუბის სახელით 1994 წლის შემდეგ აღარ უასპარეზია.

### "ვალენსია" მეკარეს ეძებს

"ვალენსიის" ხელმძღვანელობა ინგლისის "ტოტენჰემის" მეკარე სესარ სანჩესთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

როგორც ცნობილია, ბილბაოს "ატლეტიკთან" პაექრობისას ვალენსიელთა ძირითადმა მეკარემ რენანმა ტრავმა მიიღო, რის გამოც ერთი თვე თავის გუნდს ვერ დაეხმარება. "ვალენსიის" მწვრთნელმა უნაი ემერიმ განაცხადა, რომ გუნდი ახალ მეკარესთან დროებითი კონტრაქტის გაფორმებას გეგმავს.

სესარ სანჩესი თავის გუნდში ძირითადი მეკარის გომესის შემცვლელია.

თავად ესპანური კლუბის სათადარიგო მეკარე ვისენტე გუაიტა კი არ მალავს, რომ მიმდინარე სეზონში ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას შეეცდება.

### "ბაიერნი" ზაფხულში ბაუმიოჰანს დაიმატებს

გერმანული პრესის მიხედვით, მიუნხენის "ბაიერნი" ზაფხულში 21 წლის ნახევარმცველს ალექსანდერ ბაუმიოჰანს დაიმატებს.

ბაუმიოჰანი, რომელსაც მიხაელ ბალაკს ამსგავსებენ, მიონხენგლადბახის "ბორუსიას" ღირსებას იცავს, მაგრამ მიმდინარე სეზონის დამლევს მას კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება. ასე რომ, "ბაიერნს" თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება.

### "შალკემ" კინგსტონი უარყო

გელზენკირხენის "შალკემ" 58 ათასი ევროთი დააჯარიმა 28 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო, რომელიც ზამთრის არდადეგების შემდეგ კლუბს არ დაუბრუნდა.

სამშობლოში მყოფმა ზე რობერტომ კლუბთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყვიტა და განაცხადა, რომ მის მაისურას აღარასოდეს მოირგებდა. ამის მიზეზად ის უთამაშებლობას ასახელებდა.

"შალკეში" ის ზუსტად ერთი წლის წინ ბრაზილიური "ბოტაფოგოდან" 3 მილიონი ევროს საფასურად გადავიდა, მაგრამ მისი ღირსება მხოლოდ 3 ბუნდესლიგურ მატჩში დაიცვა.

"შალკემ" ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ის რიო დე ჟანეიროს "ფლამენგოს" მიაქირავა, თუმცა კონტრაქტის თვითნებური დარღვევისთვის თანხა გააგდებინა.

გელზენკირხენულმა კლუბმა ასევე უარყო ინგლისური მედიის მიერ გავრცელებული ცნობა, თითქოს ის შოტლანდიური "ჰარტსისგან" 2 მილიონ გირვანქად 28 წლის განელ ნახევარმცველ ლარიეა კინგსტონს ყიდულობდეს.

"ჩვენ ამ თვეში გუნდის გაძლიერებას არ ვაპირებთ", - აღნიშნა კლუბის ერთ-ერთმა ბოსმა.

# "ოლიმპიური ვარსკვლავი" სპორტთან რჩება

*დეველოპერულმა კომპანია "ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" დაარსების დღიდან სტრატეგიულ მიმართულებად დაისახა საქართველოს ყველა რეგიონში სპორტის განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. მიზნის მისაღწევად კომპანიას არც ენერგია დაუშურებია და არც ფინანსები. "ყველა პროექტი ეკუთვნის მთელ ქვეყანას, ქალაქს და ყველა გამარჯვებულ ადაიამს". მოგვიანებით ამგვარი დევიზი "ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" ტრადიციად დაამკვიდრა. დაარსების დღიდან კომპანია სამ ათეულზე მეტ სპორტსმენს სახელობით სტიპენდიას უხდის, ხოლო მნიშვნელოვან საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებებს ფულად პრემიებთან ერთად მათთვის ბინის გასაღების გადაცემით აღნიშნავს თუ აფასებს. სპორტსმენებმაც იციან, რომ მარტო არ არიან. იციან, რომ მათი შრომის უკან ბიზნესი, ამ შემთხვევაში კი "ოლიმპიური ვარსკვლავი" დგას.*


გიგა ბარაკაშვილის ფოტო

ზაზა რაზიკაშვილი სპორტსმენთა წახალისებას აგრძელებს

პირველი ბიზნეს-იდეა, რომელსაც ოლიმპიელთათვის შემდგომი ცხოვრების წესი და მიზნები უნდა განესაზღვრა "ოლიმპიურ ვარსკვლავს" ათენის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებებმა შთააგონა.

კომპანიის პირველივე პროექტში საცხოვრებელი ფართები გადაეცათ ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ზურაბ ზვიადაურს, გიორგი ასანიძესა და ჯარჯი ზვიადაურს.

პირველ პროექტს მეორეც მოყვა. ამ შემთხვევაში "ორთაჭალის ვარსკვლავში" საცხოვრებელი ბინები გადაეცათ მსოფლიო ჩემპიონს რამაზ ნოზაძეს და ევროპის სამგზის ჩემპიონს ზაზა კედელაშვილს.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც "ოლიმპიური ვარსკვლავის" ყველა კომპლექსში აუცილებლად უნდა ცხოვრობდნენ სახელოვანი სპორტსმენები, კვლავაც გრძელდება. პირობა, რომელიც დეველოპერულმა კომპანიამ დაარსების დღეს დადო, 2008 წელსაც უცვლელი დარჩა. გარდა ტრადიციული ფულადი პრემიებისა და სტიპენდიებისა, პეკინის ოლიმპიური თამაშების თითოეულ გამარჯვებულ ქართველ ოლიმპიელს, შესაბამისად, ირაკლი ცირეკიძეს სააკაძის მოედანზე მშენებარე კომპლექსში, რევაზ მინდორაშვილს საბურთალოზე "ოლიმპიურ ვარსკვლავში", მანუჩარ კვირკველიას "დიდუბის ვარსკვლავში" კომპანიამ ოთხოთახიანი ბინებით გადასცა. ასევე "დიდუბის ვარსკვლავში" ოროთახიანი ბინით დასაჩუქრდა პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანი გიორგი გოგშელიძეც. ამასთან პეკინის თამაშების ჩემპიონები კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" სახეებიც გახდნენ.

ერთი სიტყვით, კომპანიის სტრატეგიული მიმართულება სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა, რაც წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენებისთვის ხელშეწყობას გულისხმობს.

ხელშეწყობა მომავალშიც რომ გაგრძელდება ამას კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტ ზაზა რაზიკაშვილთან ინტერვიუთიც ვიტყობთ.

**- გაგრძელდება თუ არა სტიპენდიების პროგრამა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებამდე?**

- აუცილებლად გაგრძელდება და იმ სტიპენდიანტებს, რომლებიც დღეს ჰყავს კომპანია "ოლიმპიურ ვარსკვლავს", დაემატებიან ახალგაზრდა და პერსპექტიული სპორტსმენებიც. შრომა დაუფასდებათ იმ მოჭიდავეებსაც, რომლებიც კარს მომდგარ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწევენ. კომპანიისაგან აუცილებლად დაჯილდოვდებიან სხვადასხვა სახის პრიზებით, მათ შორის საცხოვრებელი ფართებით ისინიც, ვინც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებამდე სხვადასხვა ტურნირებში გამოიჩენენ თავს.

**- 2007 წელს კომპანიამ სპორტზე 400 ათასი დახარჯა. ამ მხრივ როგორ იყო საქმე 2008 წელს?**

- ოლიმპიურ კომიტეტს 50 ათასი დოლარით შევეწიეთ, ხოლო ოლიმპიურ ჩემპიონებს დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების ბინები გადავეცით.

გარდა ამისა, ჩვენი კომპანია იყო საზოგადოებრივი არხის პარტნიორი, რომელიც სპონსორობას უწევდა ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციას. ასევე იუნიორთა ევროპის ჩემპიონატისთვის მხარში ამოვუდექით ტანმოვარჯიშეებს. სპონსორობა გავუწიეთ პეკინის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ღონისძიებებს - "თბილსირბილი" (სახალხო მარათონი),

"ბიზნესლიგის სპონსორობა" (კომპანიათა საფეხბურთო ტურნირი).

**- შარშან შატილში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა განიზრახეთ**

დარბაზის პროექტი გამზადებულია, როგორც კი გაუმჯობესდება ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება მის მშენებლობასაც შევუდგებით.

# ქართველთა მორიგი წარუმატებლობა ტოკიოში

ტოკიოში მიმდინარე სეზონის პირველ სუპერტურნირზე სუმოში ქართველები მოიკოჭლებენ. გუშინ ბაშოზე მეთერთმეტე საასპარეზო დღე იყო. ორივე ქართველი დამარცხდა. იმისათვის, რომ ჩვენებურებმა ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულონ, დარჩენილი ოთხოთხი ბრძოლის მოგება სჭირდებათ, რაც, კოკაისა და ტოჩინოშინის ახლანდელი სპორტული ფორმიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა.

გუშინ ლევან გორგაძე მასაცუკასასთან დამარცხდა, კოკაიმ კი იოშიკაზესთან დათმო პაექრობა. ახლა მათ ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ - ოთხი გამარჯვება და შვიდი მარცხი.

რაც შეეხება ბაშოს ლიდერებს, აქ ყველაფერი ლოგიკურად მიდის. ასოშორიუმ ზედიზედ მეთერთმეტე გამარჯვება


ქართველებს წაფორხილების უფლება აღარ აქვთ

მოიპოვა, ჰაკუჰომ კი, რომელმაც ერთი დღის წინ წაიფორხილა, გუშინ ოძეკი კაიო დაამარცხა. ახლა მას ათი გამარჯვება და ერთი მარცხი აქვს, რაც იმის მანიშნებელია, რომ თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, იმპერატორის თასის გამარჯვებული ასოშორიუსა და ჰაკუჰოს პირად ბრძოლაში გაირკვევა. არც ისაა გამორიცხული, რომ ორი იოკოძუნა ერთმანეთს ორჯერ შეერკინოს.

დღეს ტურნირის მეთორმეტე დღეა. ტოჩინოშინი დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა ჩიოჰაკუჰოს გაეჯიბრება, რომელსაც ექვსი მარცხი და ხუთი გამარჯვება აქვს. კოკაის მეტოქე კი იქნება აღმოსავლეთის ოძეკი კოტოშუ, რომელმაც დადებითი ბალანსი უკვე დაიბევა და არც ოძეკის ტიტულის დაკარგვა ემუქრება.

# საგა კაკას შესახებ გრძელდება

მას შემდეგ, რაც კაკამ "მანჩესტერ სიტიში" გადასვლაზე უარი თქვა, თითქოს ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ის კარიერის ბოლომდე "მილანში" აპირებდა დარჩენას. დრამატული მოვლენების შემდეგ ერთი დღეც არ გასულა და ახალი ჭორი აგორდა.

AS იუწყება, რომ "მილანის" ნახევარმცველ კაკასათვის წამოწყებულ სატრანსფერო კონკურენციაში, მადრიდის "რეალთან" ერთად, "ბარსელონაც" ჩაერთო.

ესპანურ გრანდებს იმედი აქვთ, რომ 26 წლის ვარსკვლავი, რომელმაც "მანჩესტერ სიტიში" გადასვლასა და კვირაში 500-ათასგირვანქასტერლინგიან ანაზღაურებაზე უარი თქვა, სეზონის დასრულებისთანავე მათთან ტრანსფერს გააფორმებს.

AS-ის მტკიცებით, "სიტის" წინადადებაზე უარის თქმით კაკამ მამამისი გაანაწყენა. ახლა სუპერვარსკვლავის მამა ცდილობს, შვილი რომელიმე ესპანურ გრანდში გადასვლაზე დაითანხმოს. ესპანური გაზეთი იმასაც კი წერს, თითქოს კაკას უთქვამს: ან "მილანში" დავრჩები, ან სეზონის დასრულებისთანავე "რეალთან" გავაფორმებ კონტრაქტსო. ის კი აღარ კონკრეტდება, რაზეა დამოკიდებული კაკას მომავალი გადაწყვეტილება.



კაკას ესპანური გრანდები იწვევენ

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ბარსელონასა" და "რეალის" საპრეზიდენტო არჩევნებში ბრაზილიელის შეძენისთვის ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება. საარჩევნო მარათონში კაკას შესაძლო ტრანსფერის გამოყენება შეუძლია როგორც კატალონიელთა თავკაც ჟოან ლაპორტას მოწინააღმდეგეებს, ისე "სამეფო კლუბის" პრეზიდენტობის მსურველებს. ავტორიტეტული ესპანური გამოცემის ცნობით, ქომაგთათვის კაკას შეძენის მხოლოდ სიტყვიერი დაპირებაც კი ამ კლუბების პრეზიდენტობის კანდიდატებს მნიშვნელოვნად გაუმრავლებს მხარდამჭერებს.

ცნობილია, რომ "რეალის" პრეზიდენტის პოსტის კიდევ ერთხელ დაკავების სურვილი გამოთქვა ფლორენტინო პერესმა, რომელმაც თავის მხარდამჭერებს 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის შეძენის პირობა მისცა.

ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელსაც ყველა მნიშვნელოვანი ტურნირი აქვს მოგებული (მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა), მშობლიური "სან პაულუდან" "მილანში" 2003 წელს გადავიდა.

AS-ის ინფორმაციის სარწმუნოობა საფუძვლიან ეჭვებს ბადებს. ბოლოს და ბოლოს, თუ კაკას "მილანიდან" წასვლა უნდოდა, "სიტის" წინადადებას მიიღებდა. ესპანური გრანდები კაკაში ვერც 107 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან და ვერც კაკას შესთავაზებენ კვირაში ნახევარ მილიონ გირვანქას. ასე რომ, ფულით ბრაზილიელს ვეღარ მოხიბლავენ. პრესტიჟით კი "მილანი" არც "რეალს" ჩამოუვარდება და არც "ბარსელონას".

# ფაჩულიამ "ხარებს" რეკორდული 18 ქულა ჩაუგდო

იმ დროს, როცა მთელი ამერიკის ყურადღება ბარაკ ობამას ინაუგურაციისკენ იყო მიმართული, NBA-ს რეგულარულ სეზონში მორიგი მაჩტები ტარდებოდა. "ატლანტა ჰოუქსის" კალათბურთელებმა თავისებურად აღნიშნეს აშშ-ის ისტორიაში პირველი აფროამერიკელის პრეზიდენტად კურთხევა. მაგალითად, "ქორების" ლიდერი და ჩიკაგოელ "ხარებთან" თამაშის მომგები მაიკ ბიბი მოედანზე გამოვიდა ახალი სპორტული ფეხსაცმლით, რომელზეც "ობამა" ეწერა, ზაზა ფაჩულიამ კი ამავე თამაშში რეკორდი დაამყარა - "ხარებს" 18 ქულა ჩაუგდო.

ქართველმა კალათბურთელმა სეზონში საუკეთესო მატჩი სწორედ ჩიკაგოში ჩაატარა - "ბულზთან" სტუმრად ფაჩულიამ სარეკორდო 39 წუთს ითამაშა და 18 ქულასა და 4 მოხსნას მოუყარა თავი.

ჩიკაგოს "იუნაითიდ სენთერში" გამართულ მატჩს 20 ათასზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო და ჩინებული სანახაობაც იხილა.

შეხვედრის დასკვნითი მეოთხედის წინ ანგარიში საყაიმო იყო. საბოლოოდ კი ჯორჯიელებმა 105:102 გაიმარჯვეს, რაშიც საკუთარი წვლილი ფაჩულიამაც შეიტანა.

ტრავმირებული ჰორფორდისა და უილიამსის არყოფნისას "ჰოუქსის" მთავარმა მწვრთნელმა მაიკ ვუდფორდმა ზაზა მაქსიმალურად დატვირთა და არც უნანია.

ქართველმა ცენტრმა 11-დან 6 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, რასაც 4 მოხსნა (3 მეტოქის ფარზე), 1 პასი და 1 დაფარება წაამატა.

ფაჩულიამ ერთხელ დაკარგა ბურთი, ორჯერ მას დაუფარეს, მსაჯებს კი 4 პერსონალური ფოლი დასტყუა.



ფაჩულია ჩიკაგოელი "ხარების" გარემოცვაში

მატჩის გმირმა მაიკ ბიბიმ შეხვედრა 31 ქულით დაასრულა. აქედან 9 დასკვნით ხუთ წუთში დააგროვა და განაპირობა კიდეც "ქორების" გამარჯვება.

ჩიკაგოში მოპოვებული გამარჯვება "ჰოუქსისთვის" 25-ე იყო, პასივში კი 16 წაგება აქვს.

მომდევნო მატჩს ფაჩულიას კლუბი შაბათ დილით ატლანტაში, ზაზას ყოფილ კლუბ "მილუოკი ბაქსთან" ჩაატარებს.

ზაზას არც ევროპაში მოასპარეზე ქართველები ჩამორჩნენ. მარკოიშვილმა "ბკ კიევს" მოაგებინა, სანიკიძემ კი ზედიზედ მეორე მატჩში მიითვალა ორმაგი დუბლი.

უკრაინის საკალათბურთო ჩემპიონატის ლიდერმა "ბკ კიევმა" მორიგი გამარჯვება იზეიმა. კიეველებმა "მიკოლაივს" იოლად - 91:60 სძლიეს, მარკოიშვილმა 22 წუთში 15 ქულა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

მანუჩარმა 5-ვე საჯარიმო და 2-ვე სამქულიანი ჩააგდო, 7 ორქულიანიდან კი 2 გამოიყენა.

ქართველ კალათბურთელს არც ერთხელ არ დაუკარგავს ბურთი, მსაჯებს კი 3 პერსონალური ფოლი დასტყუა.

"ბკ კიევის" რიგებში მარკოიშვილს მხოლოდ კრავცოვმა აჯობა, რომლის აქტივშიც 17 ქულაა.

მანუჩარის კლუბს 15-დან 13 მატჩი აქვს მოგებული და მეორე ადგილზე მყოფ "აზოვმაშს" ერთი გამარჯვებით უსწრებს.

კიეველები მორიგ შეხვედრას 24 იანვარს აუტსაიდერ "პოლტავას" წინააღმდეგ სტუმრად გამართავენ.

ვიქტორ სანიკიძისა და გიორგი ცინცაძის ჩინებული თამაშის წყალობით კი ტარტუს "როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში უმთავრეს კონკურენტ ტალინის "კალევს" 80:62 სძლია და 9-დან 9 მოგებით ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

სანიკიძემ და ცინცაძემ ტარტუელთა სასტარტო ხუთეულში იასპარეზეს. ვიქტორმა მოედანზე 28 წუთი დაჰყო და მასპინძლებს სეზონისთვის სარეკორდო 15 მოხსნა, 11 ქულა და 1 პასი შეაწია.

ვიქტორმა 8-დან 4 ორქულიანი და 7-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი კი გააცუდა.

კარგად ითამაშა ცინცაძემაც, რომელმაც 36 წუთში 16 ქულა, 2 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა.

გიორგიმ 11-დან 3 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ზუსტად ტყორცნა.

"როკს" ესტონეთის პირველობაზე მორიგი მატჩი 6 თებერვალს უწევს. ტარტუელები სტუმრად მეორე ადგილზე მყოფ "ტტუ"-ს შეხვდებიან.

### ბულგარეთი კვლავ უმწვრთნელოდაა

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორისლავ მიხაილოვმა, რომელიც ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ძიებაშია, მოლაპარაკება გამართა ლონდონის "ჩელსის" ყოფილ თავკაც აბრაამ გრანტთან და საქართველოს ნაკრების ყოფილ თავკაც კლაუს ტოპმიოლერთან, მაგრამ უშედეგოდ. "ვესაუბრე აბრაამ გრანტს და კლაუს ტოპმიოლერს, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია. ჩვენ მათი ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეგვიძლია", - განაცხადა მიხაილოვმა.

თუ ბულგარელებმა უცხოელი სპეციალისტის მოწვევა ვერ შეძლეს, მაშინ ეროვნულ გუნდს, სავარაუდოდ, ჩააბარებენ "ლიტექსის" ახლანდელ თავკაცს სტანიმირ სტოილოვს, რომელიც ნაკრებს 2007 წელს ხელმძღვანელობდა.

ბულგარეთის ნაკრები, რომელიც 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს მეტოქეა, გასული წლის მიწურულს უმწვრთნელოდ დარჩა. არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო პლამენ მარკოვმა გუნდი დატოვა.

### პოულსენს ტურინის დატოვება არ სურს

ტურინის "იუვენტუსის" მცველმა კრისტიან პოულსენმა უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, თითქოს იტალიური გუნდის დატოვებას და ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

ინგლისური საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ მიმდინარე ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს დანიის ეროვნული ნაკრების მოთამაშე "პორტსმუთში" გადავიდოდა.

"ახლა აღდგენით პროცესს გავდივარ. შევეცდები, საკუთარ გუნდს რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნდე. იმედი მაქვს, გუნდის მთავარ მწვრთნელს კლაუდიო რანიერის ჩემი პროგრესი შეუმჩნეველი არ დარჩება", - განუცხადა Ekstra Bladet-ს პოულსენმა.

28 წლის პოულსენი ტურინულ კლუბში მიმდინარე სეზონის დაწყების წის ესპანური "სევილიადან" გადავიდა, მაგრამ სერია A-ში მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა. დანიის ეროვნულ გუნდში ის 2001 წლიდან თამაშობს და 60 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

### რიბერი 150 მილიონად შეაფასეს

მიუნხენის "ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა 25 წლის ფრანგ ნახევარმცველს ფრანკ რიბერის 150-მილიონევროიანი იარლიყი მიაკრა.

"ვინც ის ჭორი გაავრცელა, თითქოს "მილანი" რიბერიში 35 მილიონ ევროს გვიხდიდეს, მაგარი ხუმარა უნდა იყოს, - აღნიშნა მან ორშაბათს "კაიზერსლაუტერნთან" სტუმრად 2:0 მოგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ და იქვე დასძინა: - თუ კაკა 120 მილიონი ევრო ღირს, მაშინ რიბერის ფასი 150 მილიონია. თუ ვინმე ოდესმე მის სანაცვლოდ ასეთ თანხას შემოგვთავაზებს, ჩვენ შეიძლება მის გაშვებაზეც დავფიქრდეთ." შეგახსენებთ, რომ 120 მილიონ ევროს კაკას სანაცვლოდ "მილანს" "მანჩესტერ სიტი" უხდიდა. ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ცნობის თანახმად კი, "მილანი" თითქოს მზად იყო, ბრაზილიელი ნახევარმცველის შემცვლელად "ბაიერნისგან" 35 მილიონ ევროდ რიბერი შეეძინა.

### შოტლანდიამ შემადგენლობა დაასახელა

